ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 15 ივნისი, 2020 №128 (8392) ფასი: 60 თეთრი

ახალციხეში მანქანა სასწრაფოს შეეჯახა

გვ.5

ლევან ჯიბღაშვილს 5 წელი პირობით მიესაჯა

„ივანიშვილი მოახლოებულ საშიშროებას ვერ გრძნობს“

გვ.3

„წულუკიანმა ძალიან კარგად იცის, რომ სენატორების წერილი საბრალდებო დასკვნაა, მაგრამ, ბიძინას რომ ასიამოვნოს, სენატორებზე ამბობს, დაბალი რანგის ჩინოვნიკები არიანო... ეს ქალი სირცხვილია!“

თეონა აქუბარდია: „ღარიბაშვილს უნდა, მტრის ხატი რუსეთიდან ოპოზიციაზე გადაიტანოს“

„ოცნებისთვის“ ოპოზიცია მართლა პრობლემაა“

გვ.3

გვ.2

ზაქარია ქუცნაშვილი: „20 ივნისზე სრული პასუხისმგებლობა ოპოზიციას ეკისრება“

„თუ მაჟორიტარად ვიყრი კენჭს, მცხეთა-მთიანეთში ნებისმიერ ოპოზიციურ კანდიდატს დავამარცხებ“

გვ.4

„სააკაშვილის განცხადებები მისი ლიდერობის სურვილით არის განპირობებული“

გიგა ბუკია: „კონსერვატორები ისევ „ოცნებასთან“ ვითანამშრომლებთ“

ვახტანგ გომელაურმა მეხანძრე-მაშველებს პროფესიული დღე მიულოცა

გვ.5

ISSN 1987-9385

5 ექიმი გუბაზ კორძაია ზესტაფონთან ავარიაში დაიღუპა

6 ატლანტაში პოლიციამ ცრემლმდენი გაზი გამოიყენა

5 ბათუმის საკათედრო ტაძრიდან 30 ლარისა და საეკლესიო ნივთების მოპარვისთვის თ.ღ. დააკავეს

6 სომხეთში ფაშინიანის გადადგომას ითხოვენ

ზაქარია ქუცნაშვილი: „20 ივნისზე სრული პასუხისმგებლობა ოპოზიციას ეკისრება“

იავო ნაცვლიშვილი

აპირებს თუ არა აქტიურ პოლიტიკაში დაბრუნებასა და არჩევნებში მონაწილეობას? დღევანდელი გადმოსახედიდან მიიჩნევს თუ არა სერგეი გავრილოვის საქართველოში ჩამოყვანასა და პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში ჩასმას უხეშ შეცდომად? რას ფიქრობს 20 ივნისის აქციის დარბევის დროს გადამეტებულ ძალადობაზე და უჭერს თუ არა მხარს „ქართული ოცნების“ პოლიტიკას სასამართლოსთან მიმართებით? — ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ყოფილი დეპუტატი, „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ზაქარია ქუცნაშვილი საუბრობს.

„თუ მაჟორიტარად ვიყრი კენჭს, მცხეთა-მთიანეთში ნებისმიერ ოპოზიციურ კანდიდატს დავამარცხებ“

– აპირებთ თუ არა აქტიურ პოლიტიკაში დაბრუნებასა და არჩევნებში მონაწილეობას?

– თუ მცხეთა-მთიანეთის მაჟორიტარულ ოლქში გასამართ არჩევნებში მივიღებ მონაწილეობას, ნებისმიერ ოპოზიციურ კანდიდატს დავამარცხებ, თან პირველივე ტურში. ეს სიტყვები არ ნიშნავს იმას, რომ გადაწყვეტილება მაქვს მიღებული და განცხადებას ვაკეთებ პოლიტიკაში დაბრუნებაზე. მე ვსაუბრობ იმ შესაძლებლობაზე, რომელიც არჩევნებში მონაწილეობის შემთხვევაში მაქვს. რეგიონის მცხოვრებლებთან კომუნიკაცია არ შეშიწყვეტია, ბევრი კარგი გამიკეთებია მათთვის და ვიცი, რასაც ფიქრობენ ისინი. უხერხულია, ჩამოთვალო ის უნიკალური პროექტები, რომლებიც ჩვენი მონდომებით საქართველოს მთიანეთში განხორციელდა. სულ ბოლო გადაწყვეტილებას გეტყვით: ჩემი ინიციატივით დაწყებული საქმე, რომ დუშეთის ყველა სოფელი, რომელიც ოკუპირებულ ახალგორის ტერიტორიას ესაზღვრება, მაღალმთიან დასახლებას გასთანაბრებოდა, პარლამენტმა წინა კვირას „მთის კანონში“ ცვლილებების შეტანით დაამტკიცა. მთის სტატუსი მოიპოვეს იმ სოფლებმაც, რომლებიც 800-მზე და მაღლა მდებარეობენ და აქამდე სხვადასხვა მიზეზის გამო ამ სტატუსით ვერ სარგებლობდნენ. ესენია: ბაზალეთის, გრემისხევის, მჭადიჯვრის, ყვავილის ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალი სოფლები. ჯამში, რეგიონის 50-მდე სოფელმა მოიპოვა მთის დასახლების სტატუსი, რისთვისაც მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, ვინც ამ კარგი საქმის დაგვირგვინებაში წვლილი შეიტანა. ამით ხალხისათვის მიცემული ჩემი მორიგი დაპირება შესრულდა. სხვათა შორის, ძალიან ბევრმა მისაყვედურა, როდესაც 2019 წელს ორჯერ ვთქვი უარი დეპუტატობაზე და წამოვედი.

– თქვენი გადაწყვეტილება რაზეა დამოკიდებული?

– ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობაზე. საქართველოს მთიანეთის პრობლემებზე მუშაობა ცოდნას, შრომასა და ერთგულებას მოითხოვს. ის მშიშარა, ზარმაცი, უცოდინარი და უპასუხისმგებლო პოლიტიკოსების ასპარეზად არ უნდა იქცეს.

– საუბარი არ გქონიათ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებთან თქვენი შესაძლო დაბრუნების შესახებ?

– არა, არ მქონია, იმიტომ, რომ არ ვაპირებ დაბრუნებას. მიუხედავად ოპოზიციის ხმაურისა, მე ვერ ვხედავ ჩვენ რეგიონში მათი მხარდაჭერის სოციალურ საფუძველს. ხმაურიანი ოპოზიციის დიდი ნაწილი წინააღმდეგი იყო და არის „მთის კანონის“, ზოგიერთმა პირიქითა საქართველოს ინფრასტრუქტურული იზოლაციიდან გამოყვანა საქართველოს საფრთხედ გამოაცხადა. ამით მოხვეები და მთიულები დედასაქართველოსაგან იზოლირებული ცხოვრებისათვის გაწირეს. მე ოთხ საპარლამენტო არჩევნებში ვარ გამარჯვებული, ორჯერ ოპოზიციონერისა და ორჯერ – სახელისუფლებო პარტიის კანდიდატის სტატუსით, ორჯერ მაჟორიტარული სისტემითა და ორჯერ – პროპორციულით. არჩევნებში გამარჯვება ჩემი მეორე პროფესიაა. 2012 წლის არჩევნებში ბატონი ბიძინას თხოვნის საფუძველზე მივიღე მონაწილეობა, თორემ „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ პროფესიული საქმიანობის გაგრძელებას ვგეგმავდი.

არ ვაპირებდი ამ თემაზე საუბარს, მაგრამ, რადგან მთხოვეთ ინტერვიუ და ეს შეკითხვა დამისვით, თქვენდამი პატივისცემის ნიშნად გიპასუხეთ. დიახ, მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ოპოზიციის გამარჯვებისათვის ხელსაყრელი წინაპირობები არ არსებობს და ამიტომ ჩემი მონაწილეობის აუცილებლობას ვერ ვხედავ. თუ ერთი პირობა იქნება დაცული: „ოცნებიდან“ სწორად შეირჩევა ერთიანი მაჟორიტარობის კანდიდატი და დარჩენილი სამი მუნიციპალიტეტიდან პარტიულ სიაში შესაყვანი პირები, თუ ქვეყანაში სხვა ვითარება შეიქმნება ან კანდიდატების ოთხკაციანი ღირსეული და კარგი ჯგუფის შეკვრა გაჭირდება, მაშინ არ გამოვრიცხავ არჩევნებში მონაწილეობას. ნაციონალების მთავარი „მასპინძელი“ შალვა ნათელაშვილიდან დაწყებული და მათი სხვა კანდიდატებით დამთავრებული, დამიმარცხებია და მომავალშიც დავამარცხებ.

– ხელისუფლებასაც ხომ არ დაუპირისპირდებით დამოუკიდებელი მაჟორიტარის სტატუსით?

– არა, იმიტომ, რომ „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი და მისი პირველი წესდების ავტორი ვარ.

– ბევრი იყო ასეთი „ოცნებაში“, რომლებიც აღარ არიან.

– ჩემთვის ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“ იყო და არის მეგობარი და თანამებრძოლთა ჯგუფი. მე მეგობრებსა და პოზიციას არ ვიცვლი იმისდა მიხედვით, თანამდებობაზე ვარ თუ არა, ისევე, როგორც არასდროს შემირჩევია მეგობარი მისი თანამდებობრივი ან ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით.

– როდესაც იყო გავრილოვის სკანდალი, არ გქონიათ განცდა, რომ გუნდმა მიგატოვათ და, უხეშად რომ ვთქვათ, ხელები შეგაწმინდათ?

– ჩემი ფილოსოფიით, პასუხისმგებლობა ნიშნავს, მათ შორის, სხვის შეცდომაში საკუთარი წვლილის დანახვას. მგონია, რომ მომეტებული პასუხისმგებლობის გრძნობის გარეშე პოლიტიკოსი შეიძლება წარმოვიდგინოთ ისე, როგორც, მაგალითად, პოეტობაზე პრეტენზიის მქონე ადამიანი მუზისა და სიყვარულის, ექიმი – ჰუმანურობისა და ცოდნის, სპორტსმენი – ნიჭისა და ნებისყოფის, ჟურნალისტი – ობიექტურობისა და განათლების გარეშე. აქედან გამომდინარე, ჩემი შეცდომა მდგომარეობდა იმაში, რომ საჭირო იყო საზოგადოების მეტი ინფორმირება იმის თაობაზე, თუ რატომ არის საქართველო 1993 წლიდან დღემდე „მართლმადიდებელი ქვეყნების საპარლამენტო ასამბლეის“ დამფუძნებელი და წევრი სახელმწიფო, რომელ ეროვნულ ინტერესს ემსახურება ჩვენი იქ ყოფნა და კონკრეტულად რა სარგებელი აქვს ამ ასამბლეის წევრობას ჩვენთვის. არასაკმარისად ინფორმირებულობის, ზოგჯერ უცოდინრობის მიზეზით ზოგიერთი დაიძაბა, ზოგიერთი კი შეშინდა. ასე რომ, ჩემი და საპარლამენტო ასამბლეების მუშაობაზე პასუხისმგებელი საპარლამენტო სტრუქტურების მხრიდან მეტი შემეცნებით სამუშაოების ჩატარების შემთხვევაში არც დაძაბულობას ექნებოდა ადგილი და არც ზოგიერთის შეშინებას. აქედან გამომდინარე, პოლიტიკურ ტელევიზიებს გაუჭირდებოდათ ხალხის შეცდომაში შეყვანა, ვითომ ჩვენ ჩამოვიყვანეთ ბატონი გავრილოვი საქართველოში და ის, როგორც კრემლის ჩინოვნიკი, სპეციალურად ჩავსვით პარლამენტის თავმჯდომარის საკრალურ სკამში.

– დღევანდელი გადმოსახედიდან არ ფიქრობთ, რომ გავრილოვის საქართველოში ჩამოყვანა და პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში მისი ჩასმა უხეში შეცდომა იყო?

– ჩემს განცხადებაშიც ნახავდით, რომ მოვლენების ასეთი ინტერპრეტირება, რომ გავრილოვი ჩვენ ჩამოვიყვანეთ და სავარძელში ჩვენ ჩავსვით, მომხდარი ფაქტების არასწორი განმარტებაა.

– რატომ?

– იმიტომ, რომ საერთაშორისო ღონისძიებას 27-ე გენერალური სესიის სახით ატარებდა თავად საერთაშორისო ორგანიზაცია, „მართლმადიდებელი ქვეყნების საპარლამენტაშორისო ასამბლეა“, რომლის დამფუძნებელი და წევრი ქვეყანა საქართველო 27 წელია, არის. მოგეხსენებათ, საქართველო იბრძვის ყველა საერთაშორისო ღონისძიების მასპინძლობისთვის იმიტომ, რომ მათი მასპინძლობით ჩვენ გვსურს, საქართველო გახდეს სამხრეთ კავკასიის ლიდერი ქვეყანა. საერთაშორისო ასამბლეებს აქვთ თავიანთი მუდმივმოქმედი სამდივნოები, რომლებიც წყვეტენ, რა დღის წესრიგითა და სად ჩაატარონ ასამბლეები და სხვა ღონისძიებები, ვინ მოიწვიონ და სად დასვან (განათავსონ) შესაბამისი წევრი ქვეყნების დელეგაციები. ბატონი გავრილოვი საერთაშორისო სამდივნომ საქართველოში მოიწვია და ის ჩამოვიდა თბილისის ასამბლეაზე არა როგორც კრემლის ჩინოვნიკი, როგორც ამას ოპოზიციური ტელევიზიები განზრახ არასწორად ტირაჟირებდნენ, არამედ, როგორც ამ ასამბლეის არჩეული პრეზიდენტი.

– ეს საერთაშორისო ორგანიზაცია მასპინძელი ქვეყნის პოზიციას არ ითვალისწინებს? მაშინ, როდესაც მიღებული გვაქვს ოკუპაციის შესახებ კანონი და გავრილოვს გაკეთებული აქვს ჩვენი ქვეყნის საწინააღმდეგო არაერთი განცხადება, ამ დროს ჩამოდის ის. ეს უხერხულობას არ გიქმნით?

– გეთანხმებით, მას გაკეთებული აქვს საქართველოს საწინააღმდეგო განცხადება, მაგრამ საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელების ან მისი წევრების მიერ გაკეთებული განცხადება, გამოხატვის თავისუფლებისა და ორგანიზაციებისა და სახელმწიფოების სუვერენობის პრინციპიდან გამომდინარე, არ შეიძლება გახდეს მთავარი დამაბრკოლებელი მიზეზი ქვეყანაში ვინმეს არშემოშვებისათვის. მაგ ლოგიკით აშშ-მ ნიუ ორკში განლაგებულ გაეროს შტაბბინაში არც ერთი ქვეყნის დიქტატორი არ უნდა შეუშვას, რომლებსაც ამერიკის საწინააღმდეგო განცხადება გაუკეთებიათ. ფაქტობრივად, მან ნახევარ მსოფლიოს უნდა აუკრძალოს მის ასამბლეაზე სიტყვით გამოსვლა. საქართველოს პარლამენტი არ არის ის ორგანო და მით უმეტეს დელეგაციის ხელმძღვანელი, რომელიც წყვეტს, ვინ შემოუშვას საქართველოში და ვინ – არა. „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონი საერთაშორისო სამდივნოს მიერ მოწვეული ქვეყნების დელეგაციებიდან მხოლოდ 2 პირს ჰქონდა დარღვეული. ოფიციალური ინფორმაციით, ასამბლეის პრეზიდენტი, ბატონი სერგეი გავრილოვი, მათ რიცხვში არ ყოფილა.

***– ანუ შსს-ს თუ სუს-ს ეკისრებათ პასუხისმგებლ**ობა ამ შემთხვევაში?*

– გავიმეორებ, რომ ოფიციალური მონაცემებით, რომელიც ჩვენ გვქონდა, ასამბლეის პრეზიდენტს, ბატონ სერგეი გავრილოვს, „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონი დარღვეული არ ჰქონია. ის წარმოადგენს დედით ეთნიკურ ქართველს და მისი წინაპრების საფლავები არის საქართველოში. საერთაშორისო სამდივნოს მიერ მოწვეული ქვეყნების დელეგაციებიდან მხოლოდ 2 პირს აღმოაჩნდა კანონი დარღვეული, მათ შორის ბატონ ზატულინს, რომლებიც არ შემოუშვეს საქართველოში. აქედან გამომდინარე, თუ არ ჰქონდა ადგილი კანონის დარღვევას, პასუხისმგებლობას ვერც შსს-ს და ვერც სუს-ს ვერ დავაკისრებთ. ბატონი გავრილოვი თბილისის ასამბლეაში საერთაშორისო სამდივნოს მიერ მოწვეული იყო და მონაწილეობდა არა როგორც დუმის დეპუტატი, არამედ, როგორც ასამბლეის არჩეული პრეზიდენტი. ეს მნიშვნელოვანი განსხვავებაა. საერთაშორისო ასამბლეების გამართვისას მასპინძელ ქვეყანას ორგანიზაციულ საკითხებში დახმარება და კულტურული პროგრამის შედგენაში მონაწილეობა მოეთხოვება. დაფინანსების დიდი ნაწილიც კი საერთაშორისო ორგანიზაციის არის, რომ ის მასპინძელი ქვეყნის კონტრიბუციაზე ნაკლებად დამოკიდებული იყოს.

– შემდეგ რაც მოხდა პარლამენტთან, იქაც ვერ ხედავთ ხელისუფლების პასუხისმგებლობას? მუდმივად გვესმოდა თქვენი ხელისუფლებისგან მათ შორის იმ დღესაც, ჩვენ არ ვართ სააკაშვილის ხელისუფლება, საკუთარ მოქალაქეებზე აღვმართოთ ხელიო, მაგრამ ვნახეთ დამიზნებით სროლის კადრები ადამიანების მიმართ. ასევე ვიცით, რომ გახარია არ აპირებდა ბრძანებას, რომელიც თავიდან არც დაადასტურა. ეს გარემოებები გარკვეულ კითხვებსა და უხერხულობას არ გიჩენთ?

– 20-21 ივნისის ღამეს ძალადობის დაწყებაზე თავიდან ბოლომდე პასუხისმგებელია ოპოზიცია, იმიტომ, რომ მათ მოახდინეს საზოგადოების ერთი და თავიანთი აქტივისტების დიდი ნაწილის წაქეზება კონსტიტუციური ორგანოს წინააღმდეგ.

– ასეც რომ იყოს, ეს ხელისუფლებას არ აკისრებს პასუხისმგებლობას იმ ძალადობაზე, რომელიც მოხდა?

– ძალის გადამეტების ცალკეული შემთხვევები რაც მოხდა, ეს იყო პასუხი იმ აგრესიასა და თავდასხმაზე, რომლის მსხვერპლიც თავდაპირველად პოლიცია და სამართალდამცავი ორგანოები გახდნენ. ცალკეულ შემთხვევებში პასუხი იყო ძალის გადამეტებით. ამას ყველა ვაღიარებთ, მაგრამ ეს იყო პასუხი და არა მოქალაქეებზე თავდასხმა.

– თქვენი პოზიცია თავის მართლებას ჰგავს და არა იმას, რომ რეალობას აფასებთ...

– არ გეთანხმებით. რეალობა არის ფაქტებზე დაყრდნობილი ვითარება და არა ვინმეს მიერ მოყოლილი ან კიდევ მიკერძოებულად შეფასებული. რაც მოხდა, რასაც ყველა ვხედავდით და რაც გადამოწმებადია, ეს არის ფაქტები. თუ მათ ობიექტურად შევაფასებთ, დავინახავთ, რომ დილის 12-ის ნახევარზე პარლამენტი უკვე დაცლილი იყო და ეს შტურმი პარლამენტში დაიწყო ღამის 12-ის ნახევარზე. რატომ? რა მიზნით? ჩაფიქრებული იყო ვარდების რევოლუცია ორი. ეს მხოლოდ ე.წ. ოპოზიციური ლიდერების ვიწრო ჯგუფმა იცოდა. მათ სურდათ, საზოგადოების აღელვება პარლამენტის ბლოკირებისა და ხელისუფლების სხვა ორგანოების საქმიანობის პარალიზებისათვის გამოეყენებინათ. დღეს ყურადღება გადააქვთ ცალკეული პოლიციელების მიერ თავდასხმის მოგერიების დროს ძალის გადამეტების შემთხვევებზე, თორემ პოლიცია პირველი თავს არავის დასხმია. 7 ნოემბერივით ის გარეთ არ გამოვარდნილა და ხალხს არ დარევია!

– მე, პირადად, განსხვავებას ვერ ვხედავ. ჩემთვის არა აქვს მნიშვნელობა, სააკაშვილი-მერაბიშვილი დამარბევს თუ ივანიშვილი-გახარია. ორივე მიუღებელია...

– ეს არ არის ვალიდური შედარება, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ 20-21 ივნისის ღამეს პოლიცია თავდაცვით მდგომარეობაში იყო, ხოლო 7 ნოემბერს – თავდასხმითში. 7 ნოემბერს ხალხს რუსთაველზე, რიყეზე, აბანოთუბანში დასდევდნენ. იმდროინდელი პოლიცია თვითონ ანადგურებდა მოქალაქეებისა და პოლიციის მანქანებს, 26 მაისს კი ხალხი აღყაში მოაქციეს და დაუნდობლად გაუსწორდნენ. ამის შედარება არ შეიძლება.

– რანაირად იცავდა, არ მესმის. როდესაც თვალებში ესვრის ადამიანებს, როცა ამდენ ჟურნალისტს გამიზნულად ესვრის რეზინის ტყვიებს, ეს ჩემთვის გაუგებარია.

– ეს საპასუხო ძალადობაა. ცალკეულ შემთხვევებში გადაცდომას მართლაც ჰქონდა ადგილი, იმიტომ რომ, როცა ძალადობა იწყება, პასუხის მოზომვა ძალიან რთულია. ეს ჩვენთან კი არა, ჩვენზე ათჯერ დემოკრატიულ ქვეყანაში უჭირთ. ნახეთ, რა ხდება იმავე ევროპასა და აშშ-ში. ბევრად უბრალო სიტუაციაში რამდენად მძიმედ დამთავრდა ფერადკანიანი ფლოიდის სიცოცხლე. ასე რომ, ძალადობა როცა იწყება, მერე მისი შეკავება რთულია. 20-21 ივნისის ღამის ძალადობის დამწყებიც და ორგანიზატორიც პოლიტიკური ოპოზიციის ერთი ნაწილი იყო. ისინი, ტრადიციულად, ამჯერადაც ცდილობენ, გაექცნენ პასუხისმგებლობას. მათი პროვოცირებითა თუ უგუნურობით საქართველოში ბევრჯერ დაიღვარა სისხლი. მე მთელი ჩემი ცხოვრება სხვის შეცდომებში საკუთარ წვლილს ვეძებ, ეგენი კი თავიანთ შეცდომებზე პასუხს მუდმივად გაურბიან. ასე რომ, ვერ დაგეთანხმებით იმაში, რომ 7 ნოემბერი და 20-21 ივნისის ღამე თავისი არსით ერთნაირია.

– თქვენ ეთანხმებით „ქართული ოცნების“ დღევანდელ პოლიტიკას? გვესმის კრიტიკა დასავლეთიდან. კონგრესმენების ანგარიშს საპარლამენტო უმრავლესობა უკავშირებს ლობისტებს. ამ შეფასებას იზიარებთ?

– კვლევით დოკუმენტში შეტანილი შეფასება არ ეფუძნება რეალურ ფაქტებს. ეს თქვა მათ შორის აშშ-ის ყოფილმა ელჩმა საქართველოში, რომელიც არ იყო „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მიმართ მაინცდამაინც ლოიალურად განწყობილი. ვინც ამბობს, რომ ბატონი ბიძინა არის პუტინის მოკავშირე და საქართველოში არეულობის შემომტანი, ამის დამადასტურებელი 1-2 ფაქტი ხომ მაინც უნდა მოიყვანოს?!

– მაგალითად, ანაკლია.

– ბოდიში, მაგრამ ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ თავისი ვალდებულებები რომ ვერ შეასრულა, ეს ბატონი ბიძინას ბრალია?!

– ეს ხომ ხელოვნურად შექმნილი ბარიერებია.

– თქვენ განათლებული ადამიანი ხართ და შეცდომაში ხართ შეყვანილი. წარმოიდგინეთ,

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

თეონა აქუბარდია: „ღარიბაშვილს უნდა, მტრის ხატი რუსეთიდან ოპოზიციაზე გადაიტანოს“

„ოცნებისთვის“ ოპოზიცია მართლა პრობლემაა“

იაგო ნაცვლიშვილი

12 ივნისს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი პარლამენტის წინაშე მინისტრის საათის ფორმატში წარდგა. პროტესტის ნიშნად ოპოზიციამ ბოიკოტი გამოაცხადა, თუმცა ამას ღარიბაშვილისთვის ხელი არ შეუშლია, ნაციონალური მოძრაობა და „ევროპული საქართველო“ ქვეყნის მთავარ მტრად გამოეცხადებინა. ღარიბაშვილი ამაყობს იმით, რომ „ოცნება“ პირველი ხელისუფლებაა, რომლის დროსაც ქვეყანას რუსეთთან ომი არ ჰქონია. თუმცა მინისტრს რატომღაც არ გაახსენდა არც რუსეთის მიერ წარმოებული ჰიბრიდული ომი, არც უკანონო ბორდერიზაცია და არც ჩვენი ტერიტორიებიდან გატაცებული მოქალაქეები, რომელთაგან არჩილ ტატუნაშვილისა და გიგა ოთხოზორიას შემთხვევები ტრაგედიით დასრულდა.

ირაკლი ღარიბაშვილის პარლამენტში გამოსვლასა და თავდაცვის სამინისტროში მისი თვალით დანახულ მთავარ პრობლემებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „საქართველოს სტრატეგიული ანალიზის ცენტრის“ თანადამფუძნებელი თეონა აქუბარდია საუბრობს.

– ირაკლი ღარიბაშვილის პარლამენტში გამოსვლაზე საინტერესო აქცენტი გააკეთეთ სოციალურ ქსელში და მიუთითეთ, რომ მან სულ ორჯერ ახსენა რუსეთის ოკუპაცია და ისიც – სხვა კონტექსტში. რას ნიშნავს, როდესაც ქვეყნის თავდაცვის მინისტრი საკანონმდებლო ორგანოში მკვეთრად არ ამბობს, რომ ქვეყნის ტერიტორიები ოკუპირებულია?

– ღარიბაშვილის პარლამენტში გამოსვლა ჩემთვის ორი მიზეზით იყო საინტერესო. ერთია ის შეფასება, რომელიც მან ქვეყნის უშიშროების გარემოსთან დაკავშირებით გააკეთა და, მეორე მხრივ, იმ მიმართულებების გამო, რომელთა განხორციელებასაც აპირებს თავდაცვის პოლიტიკის კონტექსტში.

დავიწყოთ საუბარი უსაფრთხოების გარემოსთან დაკავშირებით. მას ჩამოთვლილი ჰქონდა 6 ძირითადი საფრთხე. გლობალური საფრთხის კონტექსტში დაიწყო მან საუბარი, რომელიც მემკვიდრეობით ერგო ამ ხელისუფლებას. ის აგრძელებს იმ თეზას, რომ რუსეთის მხრიდან ჩვენი ქვეყნის ტერიტორიების ოკუპაცია არის წინა ხელისუფლების მემკვიდრეობა და ამას იზიარებს ირაკლი კობახიძეც. რა თქმა უნდა, ასე არაა, რომ ეს დაიწყო 2008 წლის ომით. ეს დაიწყო 90-იან წლებში. როდესაც ვამბობთ, რომ წინა ხელისუფლების მემკვიდრეობაა, აქ პრობლემაა ის, რომ ცდილობენ, მოსახლეობას დაანახონ, რომ ეს რუსეთის მიზეზით კი არ მოხდა, არამედ – ნაციონალური მოძრაობის შეცდომების შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტი არ იყო ახალი ამბავი.

ღარიბაშვილი საკმაოდ ხშირად იმეორებს, რომ ეს არის ერთადერთი ხელისუფლება, რომელსაც ომი არ ჰქონია რუსებთან. აქაც ვხედავ რისკებს. ეს განცხადებები ქვეყნისთვის კარგი შედეგის მომტანი რომ არ არის, ეს მდგომარეობს იმაში, რომ, ერთი მხრივ, მტრის ხატის გადატანა ხდება რუსეთიდან ქვეყნის შიგნით – ოპოზიციური ძალების მიმართულებით, იმ მიმართულებით, რომ თითქოს მტერი არა რუსეთი, არამედ ოპოზიციაა. მეორე მხრივ, ისინი ომს უყურებენ, როგორც ამ სიტყვის კლასიკურ გაგებას.

– აქ საქმე გვაქვს კომპეტენციის პრობლემასთან თუ ხედავთ „ქართული ოცნების“ მიზანმიმართულ პოლიტიკას „ოცნების“ მხრიდან?

– ეს, გარკვეულწილად, ჩამოყალიბებული ნარატივია. არა მგონია, ეს იყოს კომპეტენციის პრობლემა. „ოცნებას“ 2020 წლის ოქტომბერში არჩევნები აქვს მოსაგები. შესაბამისად, ისინი ყველანაირი რესურსის მობილიზაციას ახდენენ იმისათვის, რომ იმ ბრძოლის შედეგად მოხდეს ამ არჩევნების მოგება. ამ შემთხვევაში „ოცნებისთვის“ მართლა არის პრობლემა ოპოზიცია. არცთუ ისე კარგ ვითარებაშია, იქნება ეს ფინანსური რესურსი თუ მხარდამჭერების რაოდენობა, შესაბამისად, ხელისუფლებას აქვს შიში, რომ დაკარგოს ძალაუფლება. გამომდინარე აქედან, ჩვენ ვხედავთ, რომ პოლარიზაციის საკითხმა, რომელზეც დასავლეთი მიუთითებს და ამაზე საუბარი იყო 8 მარტის შეთანხმების დროსაც, როცა ჩააგდეს დაპირება, ახლა უკვე გადაინაცვლა ჯარის თემატიკაშიც, რაც ძალიან სარისკოა.

ხვალ რომ მოხდეს ისე, რომ რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ წამოიწყოს აგრესია

და არ არის აუცილებელი მაინცდამაინც ომის წარმოება პირდაპირი გაგებით, ეს შეიძლება იყოს ჰიბრიდული ომი, რასაც ყოველდღე ვხედავთ, ამ შემთხვევაში აუცილებელია ქვეყნის ერთიანობა, იქნება ეს ნაციონალური მოძრაობა, „ევროპული საქართველო“, „ლელო“ თუ „ლეიბორისტები“. ქვეყანა ყველასია. ეს ქვეყანა დასაცავია.

– გვესმის, რომ თავდაცვის მინისტრია, მაგრამ ის არ არის ხელშეუხებელი ფიგურა. რას ნიშნავს, როდესაც ღარიბაშვილი ჯარს საკუთარ თავთან აიგივებს?

– ის არ არის გენშტაბის უფროსი. 2012 წელს ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, როდესაც თავდაცვის მინისტრი გახდა ირაკლი ალასანია, მისი მთავარი დაპირება იყო, რომ უნდა მომხდარიყო ჯარის დეპოლიტიზაცია, რა პრობლემებიც წინა ხელისუფლების დროსაც იყო, თუმცა ვხედავთ, რომ თავდაცვის რეფორმასთან დაკავშირებით კრიტიკული პოზიცია ან მაჯის საათებთან დაკავშირებით გაკეთებული კითხვა აღიქმება ჯარის სულისკვეთებისა და ქვეყნის თავდაცვის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად. ეს, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ლევან იზორიას დროს დაიწყო. გვახსოვს, რომ „რუსთავი 2“-მა სახლები აჩვენა და, როდესაც მას კორუფციაში ადანაშაულებდნენ, გამოვიდა თავდაცვის სამინისტროს ლოგოს ქვეშ და თქვა, რომ ეს იყო თავდაცვის წინააღმდეგ მიმართული აქტი, რაც ასე არ არის. თავდაცვის მინისტრი არის მენეჯერი, რომელიც სამოქალაქო პირია. მისი ფუნქციაა თავდაცვის პოლიტიკისა და ჯარის ზედამხედველობის განხორციელება.

ირაკლი ღარიბაშვილის პოზიციები, როდესაც ის საუბრობს ამ კონტექსტში ოპოზიციასთან მიმართებით, აკრიტიკებს მას, ეს რისკებს ქმნის იმ თვალსაზრისით, რომ ჯართან მიმართებითაც გაიყოს პოზიციები. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველაფერი, რაც მედიაში ქვეყნდება, სიმართლეა, ვგულისხმობ პოლიტიკურ განცხადებებს. მაგრამ მთავარი პრობლემა ღარიბაშვილის ინტონაციაა და ის ხელოვნურად ცდილობს პოლარიზაციის გაჩენას. ეს ხდება ქვეყნის უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტზე, თავდაცვის სამინისტროზე. როდესაც მას ოპოზიციური ძალები შემოჰყავს და მას დესტრუქციულ ძალებს უწოდებს თავისი მედიასაშუალებებითა და სპეციალისტებით, აღრმავებს იმ გახლეჩას, რომელიც ქვეყანაში არსებობს. ამით ის ხელს უწყობს რუსეთს, რომლის მთავარი მიზანიც საზოგადოების პოლარიზაცია და დაქსაქსვაა.

– თუ შევხედავთ ამ წლებს, როგორ მიდის მიზნისკენ „ოცნება“ და მერე თანდათან ძლიერდება ეს ნარატივი, პირდაპირ შეგიძლიათ თქვათ, რომ ეს არის რუსული პოლიტიკის ნაწილი?

– სამწუხაროდ, „ქართული ოცნების“ ინტერესები ემთხვევა რუსეთის ინტერესებს, იქიდან გამომდინარე, რომ ისინი ახდენენ საზოგადოების პოლარიზაციას, საზოგადოებრივი აზრის გაყოფასა და ერის გათიშვას. ამაში ხდება მათი ინტერესების დამთხვევა. ოღონდ „ოცნება“ ამას ძალაუფლების შენარჩუნებისთვის აკეთებს, ხოლო რუსეთი იმიტომ, რომ შეასუსტოს საკუთარი და დასავლეთის გავლენა საქართველოზე. საერთო ტაქტიკაა და ეს არის პრობლემა. არ მინდა, ვინმემ ჩემი პოზიცია ჩასაფრებულად მიიჩნიოს, მაგრამ ეს ჩემი გულისტკივილია. როდესაც მტერი გვყავს 40 კმ-ში, თავდაცვის ძალებთან მიმართებით ამ ტიპის განცხადებები აზიანებს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას. როდესაც მინისტრი ოპოზიციას დესტრუქციულ ძალებს ეძახის და მასზე განხილვას მეტ დროს უთმობს, ვიდრე რუსეთის ჰიბრიდულ ომს, ეს აჩვენებს

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ზაზა ხატიაშვილი: „ივანიშვილი მოახლოებულ საშიშროებას ვერ გრძნობს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ადვოკატთა ასოციაციის ყოფილი თავმჯდომარე, უფლებადამცველი ზაზა ხატიაშვილი პასუხობს.

– ბატონო ზაზა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის სასამართლო სისტემას, რა ხდება? ამბობენ, რომ ბოლო პერიოდში არცთუ სამართლიანი გადაწყვეტილებები მიიღება. რას იტყვით თქვენ?

– უკვე 8 წელია, რაც ბიძინა მოვიდა ხელისუფლებაში და მაშინვე ვამბობდი მე, რომ პირველი, რაც ამ კაცმა უნდა გააკეთოს, მურუსიძისა და ჩინჩალაძის სამართალი უნდა დაამთავროს. როდესაც მივხვდი, რომ ამას არ აპირებდნენ, იუსტიციის საბჭოს წინ ვიდექი ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე. ახლა ეს პარლამენტარები და დეპუტატები, ასევე ოპოზიციაში მყოფი ძალიან ბევრი, მაშინ ბიძინასთან ერთად იყო და მე მებრძოდა, როცა მე ვამბობდი, რომ ეს ხელისუფლება ჩინჩალაძესა და მურუსიძეს გაურიგდა. აქედან გამომდინარე, ვსვამ კითხვას: როდესაც ამ უბედურებისთვის უნდა მოგვევლო, მაშინ მარტო ვიდექი და არავინ მაქცევდა ყურადღებას. ამიტომ ახლა ეს განცხადებები, რომლებსაც ჩვენ ამ ხალხისგან ვისმენთ, უბრალოდ, პოლიტიკურია. როდესაც მურუსიძეს ვადა გაუვიდა და ხელმეორედ ცდილობდა ივანიშვილი მის დანიშვნას, არავინ ხმას არ იღებდა. მაშინ რატომ არ დამიდგნენ გვერდში?! ამიტომ ახლა მე აღარ მჯერა მათი პროტესტის. დღეს ქვეყანაში მურუსიძისა და ჩინჩლაძის სამართალია და ეს სამართალი ძალიან შორს არის საპროცესო სამართლისგან, ევროპის სამართლისგან, ევროსასამართლოს გადაწყვეტილებებისგან. ეს მათი სამართალია და, სანამ ესენი არიან, ეს სამართალი არ შეიცვლება.

– სერიოზული შენიშვნები მოდის დასავლეთიდან, იგივე სენატორების მკაცრი განცხადებები. იქნება სანქციები? რას ელოდებით?

– ბიძინა რომ ხელისუფლებაში არ დარჩება მაგ განცხადებების შემდეგ, ყველამ ვიცით. ასევე ძალიან კარგად იცის მისმა გარემოცვამაც. როდესაც სხვა დიქტატორების მისამართით, იმავე ჰუსეინის, კადაფის წინააღმდეგ ასეთი განცხადებები კეთდებოდა, ისინი მაინც ახალ-ახალ გადაწყვეტილებებს იღებდნენ და ეგონათ, რომ კიდევ წლები იქნებოდნენ. ჩაუშესკუს სანამ შეუცვივდებოდნენ, თავისი შვილი დანიშნა ყველაზე მაღალ თანამდებობაზე. ამიტომ დიქტატორები, ავტოკრატები ვერ გრძნობენ მოახლოებულ საშიშროებას.

– იმის თქმა გინდათ, რომ ვერც ბიძინა გრძნობს?

– დიახ. ჩემი აზრით, ეს საბრალდებო დასკვნაა ივანიშვილისთვის, რაც ახლა 13-მა სენატორმა გამოაქვეყნა. ეს ადამიანი მართლა მეცოდება. ქართველია და იმ სასჯელისთვის, რომელიც მას ელოდება, მაინც არ მემეტება. სანამ დროა, წავიდეს და თავი დაანებოს ამ ქვეყანას. მან ეს ქვეყანა ჩაფლო საშინელ კორუფციაში. ქვეყანა, ფაქტობრივად, გაანადგურა, მურუსიძისა და ჩინჩალაძის სამართალი დაამკვიდრა. ვინმემ რომ ურჩიოს, გაეცალე ამ ქვეყანას და წადიო, შეიძლება, გადარჩეს კიდეც იმ სანქციებს, რომლებიც მას ელოდება. წულუკიანი რომ გამოდის და აცხადებს, ეს არის დაბალი დონის ჩინოვნიკების განცხადებაო, ქალი, რომელიც ევროპის ისტორიაში შედის, როგორც ერთადერთი მინისტრი,

„წულუკიანმა ძალიან კარგად იცის, რომ სენატორების წერილი საბრალდებო დასკვნაა, მაგრამ, ბიძინას რომ ასიამოვნოს, სენატორებზე ამბობს, დაბალი რანგის ჩინოვნიკები არიანო... ეს ქალი სირცხვილია!“

რომელსაც ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ სტრასბურში ჩაუგდო მოსამართლეების ორი სია, მსგავსი რამ ისტორიას არ ახსოვს. სამი მოსამართლის კანდიდატურა ჩაუგდეს და ეს ადამიანი დარჩა იუსტიციის მინისტრად. ეს, იცით, როგორი სირცხვილია? ფაშისტური ემბლემა რომ გაიკეთო და იარო, ეს იმ დონის სირცხვილია. მე რომ ვთქვი, რომ სია ჩავარდა, თეა წულუკიანმა თქვა, ხატიაშვილი იტყუებაო. ზუსტად იგივე ამბავია ახლაც. ამათ საბრალდებო დასკვნა გამოუცხვეს, წულუკიანი კი გამოდის და ამბობს, დაბალი რანგის ჩინოვნიკები არიანო. რატომ ვაკეთებ წულუკიანზე აქცენტს, იცით?

– რატომ?

– მან თავის დროზე ისიც კარგად იცოდა, რომ მოსამართლეთა სია ჩავარდა, მაგრამ, ბიძინასთვის რომ ესიამოვნებინა, ეს განცხადება გააკეთა. წულუკიანმა ძალიან კარგად იცის, რომ სენატორების წერილი საბრალდებო დასკვნაა, მაგრამ, ბიძინას რომ ასიამოვნოს, კიდევ ამ განცხადებას აკეთებს. უბრალოდ, მიკვირს, ეს კაცი მართლა ფეოდალი თუ არ არის, ხომ უყურებს, რომ ეს ქალი და მისი მონები განცხადებას აკეთებენ მის საამებლად, მაგრამ მისი მდგომარეობა ამით უფრო მძიმდება. ნუთუ ჭკვიანი არავინ ჰყავს გვერდით, რომ უთხრას, ბიძინა, შენი საქმე წასულია და ამ შენს ჩინოვნიკებს, რომლებიც ამბობენ, რომ შენ ხარ გარანტი სიკეთისა, გარანტი მომავლისა, ეს არის შენ საამებლად, რომელიც გღუპავს.

– წულუკიანზე საუბრობდით და ითქვა, რომ წინასაარჩევნოდ ის მინისტრის თანამდებობას დატოვებს და პარლამენტის სპიკერობისთვის ემზადება.

– ბიძინა ივანიშვილი თუ ხელისუფლებაში დარჩა, ეს მოხდება არჩევნების მასობრივი გაყალბებით. სხვანაირად ამ ქვეყნის დამაქცეველს ხმას არავინ მისცემს, ადამიანს, რომელმაც ქვეყანაში შევარდნაძის დროინდელი კორუფცია მოაბრუნა. მე არა მგონია, რომ ადმინისტრაციულმა რესურსმაც კი მისცეს ხმა. აქედან გამომდინარე, მან უნდა გააყალბოს არჩევნები, ხოლო არჩევნების გაყალბების შემდეგ ივანიშვილი და წულუკიანი სად წავლენ, შემიძლია, წინასწარ ვივარაუდო – წავლენ საბრალდებო სკამზე.

– ხელისუფლება უკვე არჩევნების გადადებაზე ალაპარაკდა. ირაკლი კობახიძის განცხადება არცთუ სასიამოვნოდ ენიშნა საზოგადოებას, რომ კორონავირუსის ფონზე, შესაძლოა, არჩევნებმა დეკემბრამდე გადაიწიოს. რამდენად გამოიყენებენ ამ სიტუაციას სათავისოდ?

– არჩევნები რაც მეტად გადაიდება, ეს სამოქალაქო საზოგადოებას უნდა აწყობდეს, იმიტომ, რომ ნებისმიერი დღე მისი მმართველობისა არის დიდი შეცდომა ყველა მიმართულებით. ბიძინა ივანიშვილი თუ რამის გამომსწორებელი იყო, 8 წლის განმავლობაში გამოასწორებდა. ლამის იტირა, სალომე ზურაბიშვილის პირველი ტური რომ დამთავრდა, გამოვიდა და პირობა დადო, ერთ წელიწადში ყველაფერს გამოვასწორებო. იცით, როგორ გამოასწორა? სალომეს ინაუგურაციიდან ერთ თვეში მურუსიძე უვადო მოსამართლედ დანიშნა. აი, ამას ეძახის ეს კაცი გამოსწორებას. ვთქვათ, გადაიდო არჩევნები, ორ-სამ თვეში სიტუაციას როგორ გამოასწორებს?! პირიქით, მეტ სისულელეს ჩაიდენს. დღეს ქვეყანა არის საშინელ ჭაობში და ეს არის ერთერთი ყველაზე უპერსპექტივო ქვეყანა, სადაც ყველაფერი ფეოდალიზმზეა დამყარებული და არა სამართლებრივ ურთიერთობებზე. აქედან გამომდინარე, ამას სჭირდება ძალიან დიდი სისტემური ცვლილებები. იმ ოპოზიციამ, რომელსაც მოსვლა უნდა ხელისუფლებაში, მურუსიძე-ჩინჩალაძის სამართალი სწორედ მან შექმნა. ეს ოპოზიცია რამდენად მზად არის, რომ ეს სისტემა შეცვალოს, მაგაშიც ეჭვი მეპარება.

– არც ოპოზიციაშია ერთობა. ყველა ხედავს, რა სიტუაციაა. არსებობს დღეს ჩვენს ქვეყანაში ალტერნატიული ძალა, რომელიც შეცვლის ივანიშვილს?

– ხელისუფლებაში ისეთი ადამიანები უნდა მოვიდნენ, რომლებიც არ გაიყიდებიან და სახელმწიფოს მოემსახურებიან. იმ ადამიანების მხრიდან, რომლებმაც მურუსიძე-ჩინჩალაძის სისტემა შექმნეს, იმის თქმა, რომ დღეს სამართლიანი სასამართლო არ არის, სულ მცირე, ირონიაა. აქედან გამომდინარე, ბიძინა ივანიშვილი ყოველთვის მოიგებს არჩევნებს, თუ მისი ოპოზიცია იქნება ნაციონალური მოძრაობა. ახლა იკვეთება ტენდენცია, რომ სხვადასხვა ძალები შემოდიან, მარტო ნაციონალური მოძრაობა აღარ არის. ნაციონალებმა ჭკუა ისწავლეს და მიდიან შალვა ნათელაშვილის ოფისში. შალვა არც ნაცი იყო და არ ქოცი. ნაცები უკანა პლანზე უნდა დარჩნენ და სხვა ლიდერები წამოვიდნენ წინა პლანზე, რადგან მათი წინა პლანზე წამოწევა და ბიძინას გამარჯვება იქნება პროპორციული. დავუშვათ, ნაცები მობრუნდნენ, სააკაშვილს პირველი ტრაპზე ვინც დახვდება, იქნებიან მურუსიძე და ჩინჩალაძე, ფეხზე ემთხვევიან და ეტყვიან, აქამდე სად იყავი, გელოდებოდითო. აი, ეს სურათი იქნება. ასეთი ხალხია მურუსიძე-ჩინჩალაძე.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

გიგა ბუკია: „კონსერვატორები ისევ „ოცნებასთან“ ვითანამშრომლებთ“

მარიამ მჭედლიშვილი

უკრაინაში მოღვაწე საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ოპოზიციურ ერთობას მოუწოდებს, არჩევნებში ერთიანი სიით მიიღოს მონაწილეობა. მისმა მოწოდებამ ოპოზიციურ ერთობაში უთანხმოების ახალი ტალღა გამოიწვია. რას ფიქრობს ამ და სხვა საკითხებზე ამ ერთობისა და მმართველი პარტიის გარეთ მყოფი კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი გიგა ბუკია? — მას „ახალი თაობა“ ესაუბრა.

„სააკაშვილის განცხადებები მისი ლიდერობის სურვილით არის განპირობებული“

— რას უნდა ნიშნავდეს მიხეილ სააკაშვილის მოწოდება ოპოზიციური ერთობისადმი? მან პოლიტიკოსებს ერთიანობისა და ერთიანი საარჩევნო სიის შედგენისკენ მოუწოდა. მანამდე ამ ოპოზიციას გადაწყვეტილი ჰქონდა შეთანხმება თბილისის მაჟორიტარების კანდიდატურებზე. თქვენ ამ ერთობაში არ შედიხართ, მაგრამ რას ფიქრობთ ამ საკითხზე?

— მიხეილ სააკაშვილის მიმართვას თავისი ამოცანა აქვს. მისი სურვილია, იყოს უპირობო ლიდერი იმ გაერთიანებისა, სადაც შედის ნაციონალური მოძრაობა. ექსპრეზიდენტს უნდა, აღიარონ მთავარ ლიდერად და მას ჰქონდეს ბერკეტები პროცესების სამართავად. მისი ხედვით, ეს წაუგებელი განცხადებაა. თუ დაუჭირეს მხარი და ყველაფერი შედეგიანად დასრულდა, ხომ კარგი. თუ მის ინიციატივას მოწინააღმდეგეები გამოუჩნდნენ და წარუმატებლობა იქნება, მაშინ მარცხს მათ გადააბრალებს.

— ოპოზიციურ ერთობას ამის გარეშე კარგ შანსებს უწინასწარმეტყველებენ.

— ეს ოპოზიციური ერთობა ძველებურად ერთიანი ვერ იქნება. ის ერთსულოვანი იყო საპროტესტო მუხტის დროს ანუ მაშინ, როცა ეს ადამიანები აპროტესტებდნენ დაპირების შეუსრულებლობას პროპორციული არჩევნების თაობაზე. ამაზე რეაქცია ჩვენც გვქონდა და უმრავლესობა დავტოვეთ. დღეს ამ პარტიებს საკუთარი პარტიული თუ პირადი ინტერესები აქვთ. მგონია, რომ ისინი ამ ფორმით არჩევნებამდე ვერ მიაღწევენ. ამ გაერთიანებაში ბოლო ხანს დიდი უთანხმოებაა. პოლიტიკოსები, რომლებიც ადრე ერთად იყვნენ, ერთმანეთს ათასნაირად ამკობენ, უწოდებენ მუცლით მეზღაპრეებს და ა.შ. მათ შორის კონფლიქტი გამძაფრდება.

— თქვენი კონსერვატიული პარტიის მსგავსად, უმრავლესობიდან გამოსული თქვენი კოლეგები (მარიამ ჯაში, ბექა ნაცვლიშვილი და სხვები) აცხადებენ, რომ არც ნაციონალურ მოძრაობასთან იქნებიან და არც „ქართულ ოცნებასთან“. ამ ხალხთან ერთად ხომ არ იქნებით?

— არა. ჩვენ ცალკე, დამოუკიდებლად მივიღებთ არჩევნებში მონაწილეობას. წინა წლებში ეს არ გამოდიოდა. რეალობა მოითხოვდა სხვებთან ერთად გაერთიანებას. ასე გავერთიანდით სააკაშვილის წინააღმდეგ.

— დღეს სხვა რეალობაა?

— ეს არჩევნები განსხვავებული იქნება. ადრე ხდებოდა ასე — ხელისუფლება ძალიან დაზიანებული იყო, ოპოზიცია კი — ავტორიტეტული და სუფთა. ოპოზიცია ერთიანდებოდა ხელისუფლების წინააღმდეგ. ახლა ხელისუფლება დამძიმებულია, მაგრამ ნაციონალური მოძრაობა, ყოფილი ნაციონალები კიდევ უარესად დისკრედიტებული არიან.

— ისევ ცუდსა და უარესს შორის არჩევანია?

— არა. მომავალი არჩევნები არ იქნება მძაფრი დაპირისპირება ორ პარტიას შორის. ამომრჩეველსაც არ უნდა ერთპარტიულობა და ორპარტიულობა. როცა პარლამენტი დაამტკიცებს ახალ ვარიანტს, ასარჩევი გვეყოლება სულ 30 მაჟორიტარი, პროპორციულად ასარჩევი ადგილები გაიზრდება.

— ეს რას ნიშნავს? პარტიებს შანსები ეზრდებათ?

— რასაკვირველია. ამომრჩეველსაც ეზრდება არჩევანის საშუალება. ჩვენ თითქმის 8 წლის განმავლობაში ვიყავით „ქართული ოცნების“ კონსერვატორების ფრთა პარლამენტში. კოალიციის შიგნით ვცდილობდით ჩვენი წინადადებების გატანას. საბოლოო, შეთანხმებული ვარიანტის მიღების შემთხვევები არც ისე იშვიათი ყოფილა.

— მომავალშიც ითანამშრომლებდით „ოცნებასთან“?

— თუ ამის საჭიროება დადგა, თუ აუცილებელი გახდა თანამშრომლობა კოალიციური მთავრობის საკითხზე, ისევ „ქართულ ოცნებასთან“ ვითანამშრომლებთ, ოღონდ, წინა წლებისგან განსხვავებით, უფრო დამოუკიდებლები ვიქნებით ჩვენი გადაწყვეტილებების მიღებისას, უფრო მკაფიოდ დავიცავთ ჩვენს ფასეულობებს.

— ეს იმას ნიშნავს, რომ ნაციონალურ მოძრაობასთან არ ითანამშრომლებთ?

— ნაციონალური მოძრაობის დომინაციის შემთხვევაში მის კოალიციაში არ გავერთიანდებით.

— ექსპერტთა ნაწილი ბიძინა ივანიშვილს მოუწოდებს, დაბრუნდეს პრემიერად, ჩავიდეს ვაშინგტონში და განუმარტოს აშშ-ის ადმინისტრაციას, რა ხდება საქართველოში. მანამდე რამდენიმე დღით ადრე აშშ-ის რესპუბლიკური პარტიის ჯგუფმა გამოაქვეყნა მოხსენება რეკომენდაციებით. იქ ბიძინა ივანიშვილს უკრაინელი პრორუსი პოლიტიკოსის გვერდით აყენებენ და მათ წინააღმდეგ სანქციებს მოითხოვენ.

— ამაზე აშშ-ის ელჩმა გააკეთა განცხადება. მან თქვა, რომ ეს არ არის ამერიკის ოფიციალური წარმომადგენლების პოზიცია. ეს იყო ერთი პოლიტიკური ჯგუფის მოხსენება. აშშ-შიც ახლოვდება არჩევნები და დიდი პოლიტიკური დაპირისპირებაა. ამ პირობებში ასეთ მოხსენებაში საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ. ზოგადად, საქართველოს ხელისუფლებამ მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს ამერიკის ხელისუფლებასთან და, თუ რაიმე გაურკვეველია, გაარკვიოს. პრემიერად ბიძინა ივანიშვილის შესაძლო დაბრუნებაზე ან არდაბრუნებაზე ინფორმაცია არ მაქვს. მოგეხსენებათ, ჩვენ უმრავლესობიდან გამოვედით და კულუარულ ინფორმაციას არ ვფლობ. არ ვიცი, თვითონ ბიძინა ივანიშვილს რა აქვს გადაწყვეტილი. თუ მას იმის გამო ურჩევენ პრემიერად დაბრუნებას, რომ რაღაც საკითხებზე წვდომა ჰქონდეს, ეს გაუგებარია. ბიძინა ივანიშვილი არის მმართველი პარტიის თავმჯდომარე. იგი ჩართულია პოლიტიკურ პროცესებში.

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ზაქარია ქუცნაშვილი: „20 ივნისზე სრული პასუხისმგებლობა ოპოზიციას ეკისრება“

თქვენზე დაბალი კვალიფიკაციის ადამიანების მოტყუება როგორი ადვილია. როცა ჩატარდა ტენდერი, იქ წინასწარ იყო გაწერილი, გამარჯვების შემთხვევაში რა პირობები უნდა შეესრულებინა ინვესტორს. ტენდერის ჩატარებისას არ იყო დათქმული პირობა, რომ სახელმწიფო დააზღვევდა ტვირთების რისკს... ინვესტორმა ჯერ გაიმარჯვა და მერე დაიწყო ბრძოლა დადგენილი პირობების თავის სასარგებლოდ შეცვლისათვის. ტენდერში რომ ინვესტორმა გაიმარჯვა და მერე დაიწყო თავის სასარგებლოდ პირობების შეცვლის მოთხოვნა, ეს ივანიშვილის დავაბრალოთ? ეს ხომ ძალიან არაობიექტურია.

— როცა 10 თუ 12 წლის წინანდელ საქმეს უქექავენ ხაზარაძეს, ესეც არ აჩენს კითხვებს?

— სისხლის სამართლის საქმის დეტალებს არ ვიცნობ და ამიტომაც ვერ შევაფასებ. დამეთანხმეთ, 1-2 ფაქტი მაინც უნდა არსებობდეს, რომ ივანიშვილი პუტინის მოკავშირედ და საქართველოს არეულობის მომწყობად გამოვაცხადოთ. როცა ინვესტორი იწყებს პირობების შეცვლას, ეს რატომ უნდა დავაბრალოთ ბატონ ბიძინას, ამიხსენით. როდესაც ტენდერში იღებ მონაწილეობას, ხომ იცი, რა პირობებია?! რამდენად სწორია გამარჯვების შემდეგ პირობების რევიზიის მოთხოვნა? შეცვლილი პირობებით ხომ სხვასაც შეეძლო, გაემარჯვა. ან კიდევ, თუ მიწა სახელმწიფოსია, თუ გზა და კომუნიკაციები მან უნდა მიიყვანოს, ტვირთების რისკი მან უნდა დააზღვიოს, მაშინ რა საჭიროა კერძო ინვესტორის ჩართვა? თავად სახელმწიფომ განახორციელოს ეს პროექტი და თავად გახდეს რისკებზე პასუხისმგებელიც და მოგების სრულად მიმღებიც. შეაფასეთ ობიექტურად!

— თქვენ ხართ იურისტი და გაქვთ შეხება სასამართლოსთან. თქვენ მწვავედ აკრიტიკებდით სასამართლო სისტემას. როდესაც ხდება ამ სისტემის ნარჩენების არა მარტო გადმობარება, არამედ დაწინაურებაც და ხელში იგდებს სასამართლოს ის გუნდი სისტემას, ეს კითხვებს არ გიჩენთ? ამაზეც არ მითხრათ, რომ ტყუილია, იმიტომ, რომ ამის გამო დატოვა გუნდი ბესელიამ და ყველას ვერ დაუძახებთ „ნაციონალს“. იგივე ანა დოლიძე დაპირისპირებული იყო ნაცმოძრაობასთან...

— მერვე მოწვევის პარლამენტში ძალიან ვჩხუბობდი იმის თაობაზე, რაშიც არავინ არ დაგვიჭირა მხარი, რომ შეგვეცვალა კონსტიტუციის ის დებულება, რომლითაც თანამდებობაზე მოსამართლეების უვადოდ გამწესება მოხდებოდა.

— ანუ თქვენ აყენებდით ამ ინიციატივას?

— ამ ინიციატივას ჩვენ ვიხილავდით და ვაყენებდით იმ სამუშაო ჯგუფში, რომელსაც პირველ ეტაპზე ბატონი შალვა შავგულიძე ხელმძღვანელობდა და მე წევრი ვიყავი. ამ ჯგუფის პოზიცია იყო ასეთი, რომ შეგვეცვალა კონსტიტუციური დებულება და მოსამართლეები უვადოდ არ ყოფილიყვნენ გამწესებული. ეს კონსტიტუციაში ჩაიწერა მიშას დროს და ამოქმედდა ჩვენი ხელისუფლების პერიოდში.

— ანუ ამ პოლიტიკას არ ეთანხმებით, რაც სასამართლოსთან მიმართებით ხდება?

— ჩვენს ამ ინიციატივაზე არასამთავრობო სექტორის დიდი ნაწილი და დღევანდელი ოპოზიციის უმრავლესობა კატეგორიული წინააღმდეგი წავიდა, მათ შორის, საერთაშორისო ორგანიზაციებიც. საქართველოს მოქალაქეებს უნდოდათ, რომ შემოგვეღო დიფერენცირებული ვადები — მაგალითად, პირველი ინსტანციის სასამართლოში ყოფილიყო 10-წლიანი ვადა, შემდეგ მეორე და მესამე ინსტანციის სასამართლოებისათვის — უფრო ხანგრძლივი, ვთქვათ, 20-წლიანი. მაგრამ მაშინდელი ოპოზიცია, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები წინააღმდეგნი წავიდნენ. ასე რომ, მერვე მოწვევის პარლამენტში ეს ბრძოლა დამთავრდა, როცა კუბლაშვილის მიღებული ნორმა ძალაში დარჩა. ჩვენ დაგვრჩა ერთადერთი ინსტრუმენტი, რომ პრეზიდენტის ერთპიროვნული გადაწყვეტილების სფეროდან გამოგვეტანა მოსამართლეების დანიშვნის საკითხი და ჩვენ ეს გავაკეთეთ. ობიექტური მსაჯული დაინახავს, სად იყო ამ პრობლემის სათავე და რა პოზიცია ეკავა მაშინ ზაქარიას. ამის შემდეგ ხელების ქნევა მე არ მიმაჩნია სწორად, მით უმეტეს, რეფორმის ეფექტურობის 1-2 პერსონაზე დაყვანა.

— ფაქტია, რომ მათ უჭირავთ ხელში დღევანდელი სასამართლო.

— არ არის ასე. ჩვენ იმასაც გვარწმუნებდნენ, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანა ემსახურებოდა ორი ადამიანის უზენაესი მოსამართლეების წევრებად გახდომის მიზანს, მაგრამ დავინახეთ, რომ ისინი არ გახდნენ უზენაესის წევრები, ეს მაშინ, როდესაც მიშას დროს იყვნენ. ასე რომ, ეს საკითხი არ არის ისეთი ცალსახა და მარტივი, რომელსაც წარმოაჩენს დღევანდელი ოპოზიცია და ზოგიერთი არასამთავრობო. სად იყვნენ ისინი, როდესაც ამ საკითხს ვსვამდით, რომ უვადო ვადა ვადიანად გვინდოდა შეგვეცვალა.

— როდესაც პარლამენტი დატოვეთ, გახდით გარდაბნის თბოსადგურის დირექტორის მოადგილე. ესეც გახდა კრიტიკის საგანი, რომ „ოცნებამ“ ქუცნაშვილი დანიშნა მაღალანაზღაურებად თანამდებობაზე. როგორ მოხვდით მაგ თანამდებობაზე, გაქვთ თუ არა რაიმე გამოცდილება ენერგეტიკის სფეროში და ვინ გაგიწიათ რეკომენდაცია?

— მე ვიყავი საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის იურიდიული დეპარტამენტის დირექტორი 2005-2007 წლებში. საქართველოში თუ ვინმემ იცის ენერგეტიკული სამართალი, რომელიც სამართლის ძალიან სპეციფიკური დარგია, მათ შორის მეც ვარ. საქართველოში ამ დარგის მცოდნე, ყველაზე მეტი, 5 იურისტი მოიძებნება. კადნიერებაში თუ არ ჩამომართმევთ, ეს ასეა.

იცით, რომ „ოცნების“ ხელისუფლების პირობებში საქართველომ შეძლო და შექმნა სერიოზული სარეზერვო სიმძლავრე გარდაბნის თბოსადგურების მშენებლობით. მას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სახელმწიფოს ენერგეტიკული მდგრადობისათვის და ამ გადაწყვეტილების უკან ის პოლიტიკური გუნდი იდგა, რომელსაც მე წარმოვადგენ. აქედან გამომდინარე, თუ ცოდნა და გამოცდილება გაქვს, შენმა გუნდმა შექმნა ის, რაც ქვეყანას ადგება, სადღა დარჩა შეკითხვის ადგილი?

— რეკომენდაცია „ოცნების“ გუნდმა გაგიწიათ და კონკრეტულ ადამიანს არ გაუწევია?

— ამას მამაჩემსაც კი აბრალებდნენ, თითქოს იმის გამო, რომ მან და კიდევ რამდენიმე ადამიანმა თავის დროზე მიიღეს სტრატეგიული გადაწყვეტილება, თბოსადგურის მშენებლობით საქართველოსათვის გარანტირებული სიმძლავრის სადგური შეექმნათ, მან დაანიშვნინა ჩემი თავი. ისიც კი არ იციან, რომ „ნავთობისა და გაზის კორპორაციის სამეთვალყურეო საბჭოს“ ყოფილ წევრს არ შეუძლია შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციაში შემავალი საკითხის გადაწყვეტა. იმის გამო, რომ მე დუმილის უფლებას ვიყენებდი, ადვილი იყო ზაქარიას სახელის მიკერძოებულად ხსენება, მით უმეტეს, რომ ჟურნალისტური საზოგადოების ერთ ნაწილში იმდენად დაბალია განათლების დონე და ნამდვილი ფაქტების სტანდარტების დაცვის კულტურა, რომ არავინ ამოწმებს გავრცელებული ინფორმაციის აბსურდულობას.

— ასევე აბსურდად მიგაჩნიათ ისიც, რომ ზაქარია ქუცნაშვილის დაწინაურება მოხდა ფინანსური თვალსაზრისით პარლამენტის დატოვების შემდეგ?

— არ ვიცი, თქვენ თუ გაქვთ ნანახი ჩემი დეკლარაცია, როდესაც მე ადვოკატი ვიყავი. გაცილებით მეტი შემოსავალი მქონდა, ვიდრე ახლა მაქვს.

— ახლა ნამდვილად არ ვიცი თქვენი ხელფასი, მაგრამ, ალბათ, ახლა მეტი გაქვთ, ვიდრე დეპუტატობისას გქონდათ...

— კი, დეპუტატის შრომის ანაზღაურებაზე 33%-ით მაღალი ანაზღაურება მაქვს, მაგრამ, უფრო ნაკლები, ვიდრე ადვოკატობისას მქონდა. მაგრამ ეს რა კულტურის გამოხატულებაა? ჩვენი ყველას ამოცანა ხომ, ობიექტური ინფორმაციის მიწოდების გარდა, საზოგადოების კულტურის განვითარებისთვის ხელშეწყობაცაა? იძახით, პირად ცხოვრებასა და პერსონალურ თემებში არ ჩავერიოთო, მაგრამ ამ დროს არასაჯარო მოსამსახურეს შემოსავლებს უთვლით.

— ამიტომაც არ მიკითხავს, რამდენი გაქვთ ხელფასი, რადგან ეს მეც არაეთიკურად მიმაჩნია.

— კერძო სტრუქტურებში მომუშავე ადამიანის ხელფასის რაოდენობის თაობაზე შეკითხვის დასმა არაეთიკურია. ეს ჟურნალისტებმაც უნდა გაითავისოთ. რაც საჯარო სტრუქტურაში მომუშავე ადამიანისთვის ნორმალურია, კერძო სტრუქტურაში დასაქმებულისათვის შეიძლება, არაეთიკური აღმოჩნდეს. ვინმე კითხულობს, რომელ ჟურნალისტს რამდენი აქვს ხელფასი?! ან ვინმეს გამოუკვლევია, სატელევიზიო გადაცემის ყალბი ფაქტების გაჯერებაში ვინ რამდენ ბონუსს იღებს?! ჩვენმა ოჯახმა ორი დღის წინ განცხადება გავავრცელეთ, როდესაც ტვ. „ფორმულას“ 7-წუთიან სიუჟეტში 13 ფაქტის გაყალბება აღმოვაჩინეთ.

დასაწყისი მე-3 გვერდზე

თეონა აქუბარდია: „ღარიბაშვილს უნდა, მტრის ხატი რუსეთიდან ოპოზიციაზე გადაიტანოს“

იმას, რომ მინისტრი მტრის სახით ოპოზიციას უფრო აღმატებულ ხარისხში განიხილავს, ვიდრე რუსეთს.

— მცირდება თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი. ეს რაზე მიუთითებს?

— მე, სამწუხაროდ, ვერ მოვისმინე მისი განმარტებები თუ რას აკლდება ეს თანხა. უბრალოდ, ზედაპირულად რა დაკვირვებაც ჩანს, არის ის, რომ სუს-ს აკლდება 1 მილიონი ლარი, შსს-ს — 10 მილიონი და, როცა ამ დროს თავდაცვის სამინისტროს აკლდება 75 მილიონი ლარი, ესეც „ოცნების“ პრიორიტეტებზე მიანიშნებს. ჩვენ უნდა მიგვეღო კითხვებზე პასუხები, რა მოაკლდება სამინისტროს და რაზე მოახდენს ეს გავლენას. პარლამენტარების ვალია, ერთი მხრივ, თავდაცვის პოლიტიკა, რაც არ გვაქვს დღეს, არ არსებობს თავდაცვის სტრატეგია. ჯერ კიდევ ლევან იზორია ყველა სესიაზე ამბობდა, რომ უნდა დამტკიცებულიყო ეს დოკუმენტი, ახლა უკვე ღარიბაშვილი ამბობს ამას, მაგრამ ისევ არ არის დამტკიცებული. თავდაცვის მიზნების შესახებ მე, როგორც ამ სფეროს სპეციალისტმა, ბევრი არაფერი ვიცი.

— როდესაც საუბრობთ ღარიბაშვილის პერსონაზე, თქვენ, როგორც თავდაცვის სპეციალისტს, არ გიჩნდებათ კითხვები მისი ძველი ქმედებების მიმართ, როდესაც ის იყო პრემიერი? მხედველობაში მაქვს საფრანგეთიდან საჰაერო თავდაცვის საშუალებების შესყიდვა, რის გამოც მოხსნა მაშინ ირაკლი ალასანია.

— რა თქმა უნდა, საჰაერო თავდაცვა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისთვის მნიშვნელოვანია, თუმცა, როდესაც ღარიბაშვილმა პარლამენტში ისაუბრა, დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ის მეორე ფაზა, რომელიც ხელმოწერილი იყო ლევან იზორიას მიერ საფრანგეთში 2018 წლის დეკემბერში, როგორც ჩანს, სრულდება. ახსენა, რომ მართვისა და კონტროლის ნაწილია დარჩენილი. ასე რომ, ირაკლი ღარიბაშვილია ის პერსონა, რომლის დროსაც, ერთი მხრივ, ირაკლი ალასანიას წასვლა მოხდა ხელისუფლებიდან და შემდეგ უკვე ახალი ხელშეკრულების გაფორმება მოხდა ახალი პრემიერის გიორგი კვირიკაშვილის დროს.

სოციალური მიმართულებები მნიშვნელოვანია, მაგრამ ღარიბაშვილის მინისტრობისას მთავარ პრობლემად თავდაცვის პოლიტიკა მიმაჩნია. აუცილებელია სოციალური პირობების გაუმჯობესება, მაგრამ თავდაცვის პოლიტიკა უნდა იყოს მთავარი პრიორიტეტი. ჩვენ ვხედავთ, რომ ყველა მინისტრის დროს იცვლება თავდაცვის პოლიტიკა, მაგრამ ღარიბაშვილის უმთავრესი პრობლემა მისი პოლიტიკური პოზიციაა. სხვა თანამდებობაზე მის ამ პოზიციაში პრობლემას ვერ დავინახავდი, მაგრამ ჯარი არის ყველასი და ჯარში არ უნდა ხდებოდეს დაპირისპირების გადატანა შიდაპოლიტიკურ კონტექსტში. ეს არის ყველაზე მთავარი პრობლემა დღეს.

გენერალ სამსონ ქუთათელაძის მკვლელობის საქმეში გიორგი ჭანტურია მოსამართლე მადონა მაისურაძემ გაამართლა

გიორგი ჭანტურია გენერალ სამსონ ქუთათელაძის მკვლელობის ნაწილში გამართლდა და დამნაშავედ იქნა ცნობილი ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ნაწილში და მას 6 წლით პატიმრობა მიესაჯა.

გიორგი ჭანტურია დარბაზშივე დააკავეს.

გიორგი ჭანტურიას ადვოკატ ბექა ბასილაიას განცხადებით, რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას იარაღის ნაწილში გაასაჩივრებს. აღნიშნულთან დაკავშირებით, ბექა ბასილაიამ სამსონ ქუთათელაძის მკვლელობის საქმეზე განაჩენის გამოცხადების შემდეგ განაცხადა. როგორც ადვოკატი განმარტავს, გიორგი ჭანტურიას უმძიმესი ბრალი ჰქონდა წარდგენილი, რაშიც ის გამართლდა. ბასილაიას თქმითვე, ჭანტურია იარაღის მართლსაწინააღმდეგოდ ქონასაც არ აღიარებს.

– მოსამართლე მადონა მაისურაძემ ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო და გიორგი ჭანტურია უდანაშაულოდ ცნო სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით გათვალისწინებულ ბრალდებაში.

ჩვენ ამ საქმის წარმოების დაწყებისთანავე ვაცხადებდით, რომ გიორგი ჭანტურიას ეს დანაშაული ჩადენილი არ აქვს და რომ მის მიმართ ფალსიფიცირებული მტკიცებულებების გზით ცდილობდა პროკურატურა და შინაგან საქმეთა სამინისტრო ბრალდების დამტკიცებას. შესაბამისად, სასამართლოს მიერ მიღებული ეს გადაწყვეტილება ამ ნაწილში დაცვის მხარისთვის მნიშვნელოვანია. ეს იყო უმძიმესი ბრალდება და ამ ბრალდებაში გიორგი ჭანტურიას გამართლება სასამართლოს მხრიდან მიღებული კანონიერი გადაწყვეტილებაა.

რაც შეეხება განაჩენის მეორე ნაწილს, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლით გათვალისწინებულ ბრალდებას გულისხმობს, ამ ნაწილში დაცვის მხარე სააპელაციო სასამართლოში სააპელაციო საჩივარს წარადგენს. გიორგი ჭანტურია ამ ნაწილშიც თავს უდანაშაულოდ ცნობდა, თუმცა ამ საქმის მთავარი შემადგენელი ნაწილი სისხლის სამართლის 108-ე მუხლით გათვალისწინებული ბრალდება იყო, რაშიც სასამართლომ გამამართლებელი გადაწყვეტილება მიიღო, – განაცხადა ბასილაიამ.

პროკურატურა გამამართლებელ განაჩენს ზემდგომ ინსტანციაში გაასაჩივრებს. ამის შესახებ პროკურორმა ლევან ჯალაღანიამ განაცხადა.

მისი თქმით, ჯერჯერობით სასამართლოს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას არ იცნობს და არ შეუძლია თქვას, თუ რას დაეყრდნო სასამართლო ამ გადაწყვეტილების გამოტანისას.

– ზემდგომ ინსტანციაში მოხდება უკვე გამოკვლეული მტკიცებულებების შეჯამება, ასე ვთქვათ, შეჯერება და ანალიზი, – განაცხადა პროკურორმა.

შეკითხვაზე, აქვს თუ არა ბრალდებას პირდაპირი მტკიცებულებები, ჩაიდინა თუ არა გიორგი ჭანტურიამ სამსონ ქუთათელაძის მკვლელობა, ჯალაღანიამ განაცხადა, რომ საქმეში საკმარისი მტკიცებულებებია ამის დამადასტურებელი.

– მკვლელობის იარაღზე საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბრალდებულის ძალისხმევით ის საქმეში არ არსებობდა. არის მოწმეთა ჩვენებები, რომლებმაც დაინახეს უკანასკნელად როგორ შევიდა ბაზრობის ადმინისტრაციულ შენობაში სამსონ ქუთათელაძე გიორგი ჭანტურიასთან ერთად და შემდგომ როგორ დაინახეს მოწმეებმა, თუ როგორ გამოვიდა ბრალდებული, დატოვა ბაზრობის ტერიტორია მანქანით.

არის მოწმეთა ჩვენებები, რომლებმაც დაინახეს, როგორ გამოვიდა ჭანტურია და მას ხელში ეჭირა იარაღი. ამის გარდა, იყო მტკიცებულებები – ვიდეოკამერის ჩანაწერები, სადაც ჩანდა, რომ ბრალდებულს ეცვა სხვა ტანისამოსი და მკვლელობის შემდეგ მან გამოიცვალა და გადამალა ტანისამოსი მკვლელობის იარაღთან ერთად, – განაცხადა პროკურორმა ლევან ჯალაღანიამ.

მოსამართლე მადონა მაისურაძის განმარტებით, სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებებით გიორგი ჭანტურიას ბრალეულობა ვერ დადასტურდა.

სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებისას მოსამართლემ განაცხადა, რომ ჭანტურიას მიმართ მკვლელობის ნაწილში გამამტყუნებელი განაჩენი არ დადგა.

– სასამართლო დღეს აცხადებს სარეზოლუციო ნაწილს და გადაწყვეტილებამდე განვმარტავ, რომ მკვლელობის ნაწილში განაჩენი გამამტყუნებელი არ არის. როგორც არ უნდა არსებობდეს რწმენა, ეჭვი, ან განწყობა, სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებებით ეს ფაქტი ვერ იქნა დადასტურებული, – განმარტა მაისურაძემ.

მოსამართლის ამ გადაწყვეტილებას დარბაზში მყოფი დაზარალებული მხარის უკმაყოფილება მოჰყვა.

გიორგი ჭანტურია სამართალდამცავებმა 2018 წლის 7 აგვისტოს, სასამართლოს განჩინების საფუძველზე დააკავეს. მას ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე და 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით წარედგინა, რაც განზრახ მკვლელობასა და ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

2019 წლის 3 მაისს, რუსთავის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, გიორგი ჭანტურიას აღკვეთის ღონისძიება, პატიმრობა, გიროთი შეეცვალა და ასევე, გირაოსთან ერთად დაეკისრა დამატებითი ვალდებულებები.

ლევან ჯიბღაშვილს 5 წელი პირობით მიესაჯა

ნარკოდანაშაულში ბრალდებულ ლევან ჯიბღაშვილს საპროცესო შეთანხმება გაუფორმდა, – აღნიშნულის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ჯიბღაშვილის ადვოკატმა ანა კოტეტიშვილმა განუცხადა.

ადვოკატის განმარტებით, ლევან ჯიბღაშვილს, საპროცესო შეთანხმების თანახმად, 5-წლიანი პირობითი მსჯავრი განესაზღვრა და ასევე, დაეკისრა ფულადი ჯარიმაც, რის ოდენობასაც ადვოკატი არ აკონკრეტებს.

ბრალდების მხარესა და ბრალდებულს შორის მიღწეული საპროცესო შეთანხმება თბილისის საქალაქო სასამართლომ რამდენიმე დღის წინ დაამტკიცა.

– ბრალდების მხარესა და ჩვენს შორის მიღწეული საპროცესო შეთანხმება სასამართლომ დაამტკიცა და დღეის მდგომარეობით, უკვე ძალაშია შესული. ლევან ჯიბღაშვილმა ბრალი აღიარა, წარდგენილ ბრალში თავი სრულად ცნო დამნაშავედ, რა თქმა უნდა, გამოძიებასთან ითანამშრომლა, მის მიერ ჩადენილი დანაშაული მოინანია. სწორედ ამ გარემოებების გათვალისწინებით იქნა ბრალდების მხარესთან საპროცესო შეთანხმება მიღწეული. ჯიბღაშვილს პირობითი მსჯავრი 5 წლის ვადით განესაზღვრა და ასევე, დაეკისრა ჯარიმაც, – განაცხადა ადვოკატმა.

ლევან ჯიბღაშვილი სამართალდამცავებმა 2019 წლის 21 აპრილს დააკავეს. მისი ავტომობილის ჩხრეკისას სამართალდამცავებმა 0.5 გრამი კოკაინი და 2 ნატეხი ტაბლეტი ე.წ. კლუბური ნარკოტიკი ამოიღეს.

ჯიბღაშვილს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილით წარუდგინეს, რაც დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა-შენახვას გულისხმობს. აღნიშნული დანაშაული 5-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ლევან ჯიბღაშვილი 10.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ იყო გათავისუფლებული.

ბათუმის საკათედრო ტაძრიდან 30 ლარისა და საეკლესიო ნივთების მოპარვისთვის თ.ღ. დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ბათუმის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წარსულში ქურდობისთვის ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი, 1993 წელს დაბადებული თ.ღ., მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ბათუმში დაიკავეს. მას ბრალი სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით არაერთგზის ჩადენილ ქურდობაში ედება. დანაშაული 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული მიმდინარე წლის 2 ივნისს, ბათუმში მდებარე საკათედრო ტაძარში მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა 30 ლარამდე თანხას და საეკლესიო ნივთებს, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ თ.ღ.-მ მიმდინარე წლის მარტში, ბათუმში, ერთ-ერთ მოქალაქეს საფულე და მობილური ტელეფონი მოჰპარა, ხოლო მაისში სავაჭრო ჯიხური გაქურდა და გასაყიდ სუვენირებს უკანონოდ დაეუფლა.

პოლიციამ ნაქურდალი ნივთები ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით არაერთგზის ჩადენილ ქურდობას, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

ექიმი გუბაზ კორძაია ზესტაფონთან ავარიაში დაიღუპა

12 ივნისს ქუთაისი-ზესტაფონის დამაკავშირებელ მაგისტრალზე მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას ცნობილი ექიმი გუბაზ კორძაია ემსხვერპლა.

ახალგაზრდა ექიმი მსუბუქი ავტომობილით მოცურდა და გზის სავალი ნაწილიდან ხევში გადავარდა.

მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

არსებული ინფორმაციით, ექიმმა 12 ივნისს ქუთაისში ოპერაცია ჩაატარა და თბილისში ბრუნდებოდა.

ექიმი ისრაელი-საქართველოს კარდიოლოგიისა და ანგიოლოგიის ცენტრში ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგად მუშაობდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება 276-ე მუხლის მეექვსე ნაწილით დაიწყო, რაც სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის წესების დარღვევას გულისხმობს, რამაც მსხვერპლი გამოიწვია.

ახალციხესთან მანქანის მძღოლს გულის შეტევა დაემართა და სატვირთოს შეასკდა

ახალციხე-ადიგენის დამაკავშირებელ ცენტრალურ გზაზე მომხდარ ავარიას ერთი ადამიანი ემსხვერპლა, ერთი კი მძიმედ დაშავდა.

ერთმანეთს სატვირთო ავტომობილი და მსუბუქი მანქანა შეეჯახნენ.

მსუბუქი მანქანის მძღოლი, 55 წლამდე ასაკის მამაკაცი, გულის შეტევის შედეგად ცუდად გახდა და საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრავ სატვირთო ავტომანქანას შეეჯახა.

ის ადგილზე გარდაიცვალა.

მეორე ავტომანქანის მძღოლი ახალციხის რეფერალურ საავადმყოფოშია გადაყვანილი.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მერვე ნაწილით დაიწყო, რაც სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის წესების დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

ახალციხეში მანქანა სასწრაფოს შეეჯახა

გუშინ, 14 ივნისს, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაშავებული ორი პირი ახალციხის რეფერალურ ჰოსპიტალში გადაიყვანეს.

ექიმების განმარტებით, მათი მდგომარეობა სტაბილურია.

სასწრაფოსა და მსუბუქი მანქანის შეჯახების შედეგად პაციენტი და ექიმი დაშავდნენ.

– ჩაუტარდათ გამოკვლევები. მათი მდგომარეობა სტაბილურია, მომდევნო 24 საათი სტაციონარში იქნებიან დაკვირვების ქვეშ, შემდეგ გავწერთ კლინიკიდან, – განაცხადეს ახალციხის რეფერალურ საავადმყოფოში.

ავტოსაგზაო შემთხვევა კოსტავას ქუჩაზე 15:00 საათზე მოხდა. როგორც სასწრაფო-სამედიცინო დახმარების მანქანის მძღოლი დავით წიქარიშვილი აცხადებს, მსუბუქი მანქანა შიდა ქუჩიდან გამოვიდა და შეეჯახა, შედეგად სასწრაფომ მართვა დაკარგა და ხეს შეეჯახა.

პოლიციამ რუსთავში მომხდარი დაჭრის ფაქტი გახსნა

დაკავებულია 1 პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის რუსთავის საქალაქო სამმართველოსა და სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის მარტვილის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1991 წელს დაბადებული გ.კ. დააკავეს. მას ბრალი ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებაში ედება.

დანაშაული 3-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა ბრალდებულმა ქალაქ რუსთავში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, 1990 წელს დაბადებულ ო.ი.-ს ცივი იარაღის გამოყენებით სხეულზე ჭრილობები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი მამაკაცი სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანეს. მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

პოლიციამ ბრალდებული ცხელ კვალზე, მარტვილის მუნიციპალიტეტში დაიკავა.

გამოძიება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს.

შს მინისტრის მოადგილემ 13 ივნისს გარდაცვლილი მეხანძრე-მაშველის მემორიალი ყვავილებით შეამკო

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე იოსებ ჭელიძე, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი თემურ მღებრიშვილი და უფროსის მოადგილე ლევან ღირსიაშვილი 2015 წლის 13 ივნისს გარდაცვლილი მეხანძრე-მაშველის ზურაბ მუზაშვილის მშობლიურ სოფელ აღაიანში მეხანძრე-მაშველებთან ერთად ჩავიდნენ. სამსახურის წარმომადგენლებმა გმირი მეხანძრე-მაშველის ოჯახი მოინახულეს და სოფელში არსებული მემორიალი ყვავილებით შეამკეს.

ზურაბ მუზაშვილი 13 ივნისის მოვლენების დროს სტიქიის ეპიცენტრში მუშაობდა. მან ვერეს ხეობაში 6 ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა შეძლო, თვითონ კი წყლიდან გამოსვლა ვეღარ მოახერხა.

ვახტანგ გომელაურმა მეხანძრე-მაშველებს პროფესიული დღე მიულოცა

შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური მეხანძრე-მაშველის პროფესიულ დღესთან დაკავშირებით საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ხელმძღვანელებსა და მეხანძრე-მაშველებს შეხვდა და პროფესიული დღე მიულოცა.

– გილოცავთ დღევანდელ დღეს, გისურვებთ წარმატებებს, ყოველთვის ჯანმრთელები დაბრუნებულიყავით თქვენს ოჯახებში.

მეხანძრე-მაშველი არის ნომერი ერთი, რომელსაც ყველა მოქალაქე პატივს სცემს, ყველას უყვარს.

ძნელია, მესმის, რთულია, ჩვენც ძალიან განვიცდით, პირდაპირ, გულით მინდა გითხრათ, რომ თითქმის ყველა ღონისძიებაზე ბატონი თემური ინფორმაციას მაწვდის, ფოტოებით, რა მდგომარეობაც არის და მე, რა თქმა უნდა, ბატონ პრემიერს ვაყენებ საქმის კურსში. როცა მნიშვნელოვანი ღონისძიებაა, ვთქვათ, დიდი ხანძარია, ან მყვინთავები სიცოცხლის გადარჩენაზე მუშაობენ ყველა განვიცდით და როცა დამთავრდება, ნამდვილად ბედნიერები ვართ.

ასე რომ, დიდი მადლობა მინდა გითხრათ ყველას. მართლა გულით გეუბნებით, ერთ-ერთი საამაყო, წარმატებული სამსახურია. როდესაც გადავარჩენთ ვინმეს, ამაყი დავდივარ, – განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა შეხვედრაზე.

ღონისძიებას მინისტრის მოადგილე იოსებ ჭელიძე და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი თემურ მღებრიშვილი ესწრებოდნენ.

შეხვედრაზე ვახტანგ გომელაურმა სამსახურში განხორციელებულ ღონისძიებებზე, მიმდინარე პროცესებსა და დაგეგმილ სიახლეებზე ინფორმაცია მოისმინა. მინისტრმა მეხანძრე-მაშველებს მადლობა გადაუხადა კორონავირუსთან ბრძოლის დროს გაწეული სამსახურისთვის და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 10 თანამშრომელი დააჯილდოვა.

სახანძრო-სამაშველო დეპარტამენტის უფროსი დავით სუხიშვილი დაჯილდოვდა მეორე ხარისხის მედლით „განსაკუთრებული დამსახურებისთვის“. მედალი „მამაცობისთვის“ გადაეცათ სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის უფროსის მოადგილეებს ანდრე ქუჯაიძესა და ლაშა თვაურს. ასევე დაჯილდოვდნენ მეხანძრე-მაშველები: იოსებ მორჩანოვი, იური ლაშქარაშვილი, გიორგი კვაჭანტირაძე, სერგო მურჯიკნელი, ალექსი მახათაძე, ედიშერ მარსაგაშვილი.

საგანგებო სიტუაციების სამსახურის ცხელი ხაზის ოპერატორს, გვანცა ჩადუნელს, გადაეცა მედალიონი „განსაკუთრებული დამსახურებისთვის“.

შინაგან საქმეთა მინისტრის სახელით, მეხანძრე-მაშველის პროფესიულ დღესთან დაკავშირებით, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2000-მდე თანამშრომელს სხვადასხვა სახის ჯილდო გადაეცა.

ატლანტაში პოლიციამ ცრემლმდენი გაზი გამოიყენა

აშშ-ში, ატლანტაში, საპროტესტო აქციების მორიგი ტალღა აგორდა მას შემდეგ, რაც პოლიციელის ნასროლ ტყვიას აფროამერიკელი ემსხვერპლა.

პოლიციის ერთ-ერთმა თანამშრომელმა პარასკევს აფროამერიკელ რიშარდ ბრუკსს ესროლა. პოლიციის ცნობით, მათ მიიღეს შეტყობინება მძღოლის შესახებ, რომელსაც შეკვეთების გასაცემ სარკმელთან ჩაეძინა. ეს იყო რიშარდ ბრუკსი, რომელმაც მანამდე ალკოტესტი გაიარა და პოლიციას წინააღმდეგობა გაუწია. გაჩნდა ვიდეო, რომელზეც ჩანს, რომ ის პოლიციისგან გაქცევას ცდილობს. ისმის გასროლის ხმებიც.

კადრებში ჩანს, რომ ბრუკსი ეწინააღმდეგებოდა პოლიციას. მან ერთ-ერთ სამართალდამცველს ელექტროშოკერი წაართვა და გაქცევა ცადა.

პოლიციაში აცხადებენ, რომ ბრუკსმა ერთ-ერთ პოლიციელს დაუმიზნა, რის გამოც პოლიციელმა მას რამდენიმეჯერ ესროლა.

კადრებში, ასევე, ჩანს, რომ პოლიციელები მას უწევენ სამედიცინო დახმარებას, მაგრამ ის საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ამის შემდეგ ქალაქში პოლიციის წინააღმდეგ პროტესტის ახალი ტალღა აგორდა. ადამიანებმა გადაკეტეს ავტოტრასა, რის შემდეგაც პროტესტი უწესრიგობაში გადაიზარდა. მომიტინგეებმა გადაწვეს სწრაფი კვების რესტორანი, რომლის სიახლოვესაც ესროლეს აფროამერიკელს.

ატლანტაში, სულ მცირე, 36 ადამიანი დააკავეს. პოლიციას მოუწია ცრემლსადენი გაზის გამოყენება. ერთ-ერთი ოფიცერი, რომელიც ბრუკსის დაკავებაში მონაწილეობდა, სამსახურიდან გაათავისუფლეს, მეორე კი ადმინისტრაციულ სამსახურში გადაიყვანეს. პოლიციის უფროსი თანამდებობიდან გადადგა.

სომხეთში ფაშინიანის გადადგომას ითხოვენ

აქციაზე 91 კაცი დააკავეს

სომხეთში სამართალდამცველებმა დააკავეს 91 ადამიანი, რომლებიც ეროვნული უსაფრთხოების სამსახურის შენობასთან შეიკრიბნენ. სამსახურში ოპოზიციის ლიდერ გაგიკ ცარუკიანის დაკითხვა მიმდინარეობდა.

„91 ადამიანი დაკავებულია საგანგებო მდგომარეობის დარღვევის გამო. ისინი სამ საათს დაყოფენ პოლიციის განყოფილებებში და შესაბამისი ოქმის გაფორმების შემდეგ გათავისუფლდებიან“, – განაცხადეს პოლიციაში.

კვირას, დილით, ეროვნული უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა ცარუკიანის კერძო ბინაში ჩხრეკა ჩაატარეს. უწყების პრესსამსახურში მოგვიანებით განაცხადეს, რომ უსაფრთხოების სამსახურმა 60 მილიონი ამერიკული დოლარის ოდენობის დარღვევის ფაქტი გამოავლინა, რომელიც ბიზნესმენ დეპუტატ ცარუკიანს უკავშირდება.

თავის მხრივ, პარტია „აყვავებული სომხეთის“ ლიდერის პრესმდივანმა სვეტა ტონონიანმა განაცხადა, რომ ცარუკიანს თავისი კომპანია მინდობილობით მმართველობაში აქვს გადაცემული და თავად ბიზნესით არ არის დაკავებული.

ივნისის დასაწყისში ოპოზიციის ლიდერმა განაცხადა, რომ სომხეთის მთავრობა პრემიერ ფაშინიანის ხელმძღვანელობით ვერ უმკლავდება ქვეყანაში არსებულ პრობლემებს და უნდა გადადგეს.

პარტია „აყვავებულ სომხეთს“ ქვეყნის პარლამენტში სიდიდით მეორე ფრაქცია ჰყავს. პარტია ბიზნესმენმა ცარუკიანმა 2006 წელს დააფუძნა.

გერმანიაში ავტომობილი ადამიანთა ჯგუფში შევარდა

გერმანიის ქალაქ პირმაზენსში 14 ივნისს, გამთენიისას, ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფი მძღოლი, 51 წლის მამაკაცი, ავტომანქანით რესტორანთან მყოფ ადამიანთა ჯგუფში შევარდა.

ავარიის შედეგად 39 წლის მამაკაცმა სასიკვდილო ტრავმები მიიღო, ექვსი ადამიანი კი სხვადასხვა ჭრილობით საავადმყოფოში გადაიყვანეს.

მძღოლს სისხლში ალკოჰოლის ოთხჯერ მეტი რაოდენობა დაუფიქსირდა. მანამდე მისი მიზეზით ავტოკატასტროფა მოხდა, რის შემდეგაც ის ადგილიდან მიიმალა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

 КАЛЕЙДОСКОПИ

მოდის სახლმა საკუთარი ავტომობილი გამოუშვა

კომპანია Berluti-მ, მამაკაცის ფეხსაცმლის, ტანსაცმლის და აქსესუარების მწარმოებელმა, საკუთარი ავტომობილი გამოუშვა. მას Berluti Buggu ქვია და გარეგნულად 1960-იანი წლების პოპულარულ კლასიკურ პლაჟის ბაგის Meyers Manx-ს წააგავს, რომელიც Volkswagen Beetle-ს აგრეგატებზე იყო აწყობილი.

ისევე, როგორც Meyers Manx-სი Berluti Buggu-ც ხელითაა აწყობილი კლასიკური ხოჭოს შასიზე. მას 1,6 ლიტრი მოცულობის ჰაერით გაგრილებადი ძრავა უყენია, რომლის სიმძლავრე 90 ცხენის ძალაა. ავტომობილის გარსი პოლიესტერისგანაა დამზადებული, ხოლო მის დამცავ ჩარჩოს ორმაგი დანიშნულება აქვს: ის მგზავრებს იცავს გადაბრუნების შემთხვევაში და სერფისთვის საბარგულის მოვალეობას ასრულებს. ბაგის წონა 500 კილოგრამია.

ავტომობილის სალონი ფუფუნების და Berluti-ის საფირმო სტილის შერწყმას წარმოადგენს. შიგნით ყოველი დეტალი ხელით დამზადებული ტყავითაა დაფარული, ხოლო ქსოვილის სახურავს კომპანიის დიზაინერის კრის ვან აშემის მიერ ჩანთების კოლექციისთვის შექმნილი ორნამენტები ამშვენებს.

КАЛЕЙДОСКОПИ

„მის ჰიტლერი 2016“-ის შეყვარებული ციხეში აღმოჩნდა

დიდ ბრიტანეთში 5,5 წლით პატიმრობა მიესაჯა ბრიტანეთის ულტრამემარჯვენე ნაციონალური პარტიის ახალგაზრდული ფრთის წევრ მარკ ჯონსს.

ჯონსი რადიკალური დაჯგუფება „ნაციონალური მოქმედების“ წევრისა და „მის ჰიტლერი 2016“-ის გამარჯვებულის ალისა კა-

ტერის შეყვარებულია, რომელიც ასევე ციხეში აღმოჩნდა ულტრამემარჯვენე ორგანიზაციებში მონაწილეობისთვის. მისმა თანამზრახველებმა ჰარი ჯეკმა ქალაქ შარდ ენდიდან, დენიელ უორდმა ქალაქ ბირმინჰემიდან და კონორ სკოტერნმა ქალაქ ნოტინჰემიდან 18 თვიდან 4,5 წლამდე პატიმრობა მიიღეს.

პოლიციამ კატერისა და ჯონსის სახლში ნაცისტური სიმბოლოები, ლიტერატურა და იარაღი აღმოაჩინა.

ახალგაზრდული ნაციონალური მოძრაობა 2016 წელს აიკრძალა, პარლამენტის დეპუტატის ჯო კოქსის მკვლელობის შემდეგ. მოძრაობა 2015 წლიდან არსებობდა და 15-დან 29 წლამდე ასაკის ასამდე წევრი ჰყავდა. ჰარი ჯეკი და მარკ ჯონსი 2019 წლის იანვარში დააკავეს, როგორც პარლამენტარის მკვლელობაში ეჭვმიტანილები.

ქალმა შეყვარებული დანით დაჭრა

ინგლისის დიდი მანჩესტერის საგრაფოს ქალაქ მანჩესტერის მკვიდრმა ქალმა თავის შეყვარებულს დანა იმის გამო გაუყარა, რომ მან დაბადების დღე არა პირადად, არამედ სმს-ს შეტყობინებით მიულოცა.

2017 წლის მაისში 45 წლის ჯანეთ კერნსმა სამსახურში 60 წლის ალან პირსი გაიცნო. ქალი და კაცი სწრაფად დამეგობრდნენ, ხოლო რამდენიმე კვირის შემდეგ ისინი კიდევ უფრო მეტად დაახლოვდნენ.

იმავე წლის აგვისტოსთვის პირსმა შენიშნა, რომ კერნსი ზოგჯერ სულ მცირე რამის გამო აგრესიული ხდებოდა და მასზე ეჭვიანობდა. 2018 წლისთვის მისი ქცევა კიდევ უფრო ცვალებადი გახდა. ქალი ეუბნებოდა, რომ ის მას სათანადო ყურადღებით და სითბოთი არ ეკიდებოდა და ზოგჯერ ფიზიკური ძალის გამოყენებითაც ემუქრებოდა,

2019 წლის აპრილში წყვილის ურთიერთობა გაუარესდა და მამაკაცი ურთიერთობის გაწყვეტაზე ალაპარაკდა. კერნსმა კი მიანიშნა, რომ ამაზე ზედმეტი იყო საუბარი. იმავე წლის 3 მაისს მამაკაცმა ქალს განუცხადა, რომ უახლოესი დასვენების დღეები უკანასკნელი იქნებოდა მათ ურთიერთობაში. მეორე დღეს კერნსი დაბადების დღეს აღნიშნავდა და პირსმა დილით მას შეტყობინება გაუგზავნა: „დაბადების დღეს გილოცავ“. სამი საათის შემდეგ მან პასუხი მიიღო: „მადლობა“.

კერნსი გაბრაზდა, რომ პირსმა მას პირადად არ დაურეკა და ისე არ მიულოცა დაბადების დღე, მასთან ბინაში მივიდა და ჩხუბი გაუმართა, როდესაც მამაკაცმა პოლიციის გამოძახება სცადა, ქალმა სამზარეულოს დანა აიღო და მარჯვენა ხელში გაუყარა. მან მაინც მოასწრო სამართალდამცავებთან დაკავშირება, თუმცა შემდეგ ძირს დაეცა და სისხლისგან იცლებოდა. კერნსი ამ დროის მანძილზე იქვე იმყოფებოდა, მაგრამ დახმარება არც კი უცდია.

ადგილზე მისულმა პოლიციელებმა და ექიმებმა პირსი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მას ოპერაცია გაუკეთდა. ის გადარჩა, თუმცა ხელის ფუნქციონირება დღემდე არ აღდგომია. სასამართლომ კერნს ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

გამყიდველის რჩევამ მამაკაცი გაამდიდრა

დასავლეთ ავსტრალიის შტატის ბალაჰურის დასახლებული პუნქტის მკვიდრმა გამყიდველის რჩევით მომენტალური გათამაშების ლატარიის ბილეთი შეიძინა და ჯეკპოტი მოხსნა.

მამაკაცი მაღაზიაში ლატარიის ბილეთის საყიდლად შევიდა. ბილეთის ფასი ვერ აკმაყოფილებდა მაღაზიის მიერ დადგენილ შენაძენის მინიმალურ ოდენობას, ამიტომ გამყიდველმა ქალმა მას ურჩია, დამატებით მომენტალური ლატარიის ბილეთიც შეეძინა. მყიდველი დასთანხმდა, თუმცა მანამდე ასეთი ბილეთები არასოდეს შეუძენია.

გამყიდველის რჩევით შეძენილმა ბილეთმა მამაკაცს 70 ათასი ავსტრალიური დოლარის მოგება მოუტანა. გათამაშების გამარჯვებულის თქმით, ის მოგებულ თანხას სწავლის გასაგრძელებლად და ავსტრალიის მოქალაქეობის მისაღებად გამოიყენებს.

მაღაზიის მფლობელმა ანა ჩანგმა, რომელმაც იღბლიანი ბილეთი გაყიდა, განაცხადა, რომ გაოგნდა, როდესაც მყიდველი მაღაზიაში დაბრუნდა და მადლობის ნიშნად 200 დოლარი და კანფეტების კოლოფი გადასცა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ნიანგმა მამაკაცი მამის თვალწინ ჩაითრია წყალქვეშ

ინდონეზიის სამხრეთ სუმატრის პროვინციაში ნიანგმა მამაკაცს პირი მამის თვალწინ სტაცა და წყლის სიღრმეში ჩაითრია.

ინციდენტი იმ დროს მოხდა, როდესაც 58 წლის ასიდინი და მისი ორი შვილი პალმის ფოთლების შეგროვების შემდეგ ნავით სახლში ბრუნდებოდნენ. მოულოდნელად წყლიდან რეპტილიამ ამოიწია, ასიდინის 30 წლის შვილ ჯონის კბილებით ფეხში ჩააფრინდა და წყლის სიღრმეში ჩაითრია. მამა მაშინვე გადახტა წყალში შვილის გადასარჩენად, თუმცა მტაცებელთან ვერაფერი გააწყო და დასახმარებლად მეზობლებს და მაშველებს მიმართა.

ნიანგს რვა საათის განმავლობაში ეძებდნენ. ხოლო როდესაც იპოვეს, იმ დროისთვის ჯონი უკვე მკვდარი იყო. რეპტილიას მისი სხეულის ნაწილები ყბებში ჰქონდა მოქცეული და არაფრით არ თმობდა.

– ნიანგის მისამართით ოფიცრების მიერ განხორციელებული მხოლოდ ორი გასროლის შემდეგ დათმო მტაცებელმა ადამიანის სხეულის ნარჩენები და წყალქვეშ გაუჩინარდა, – განაცხადა პოლიციის წარმომადგენელმა.

მამაკაცმა ძველი მანქანა იყიდა და შიგნით ასეულათასობით დოლარის კოკაინი აღმოაჩინა

ამერიკის ტეხასის შტატის მცხოვრებმა ნახმარი ავტომობილი იყიდა და მის სალონში ასეულათასობით ღირებულების კოკაინის შეკვრები აღმოაჩინა.

მამაკაცმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, უების ოლქის პოლიციის განყოფილებას მიმართა. იქ მან განაცხადა, რომ მცირე ხნის წინ აუქციონზე იყიდა მანქანა, რომლის სალონშიც ნარკოტიკები აღმოჩნდა დამალული. სამართალდამცავებმა მისი ავტომობილი შეამოწმეს და მასში კოკაინის 34 შეკვრა აღმოაჩინეს.

ნაპოვნი ნარკოტიკების ღირებულება 850 ათასი დოლარია. შერიფმა მარტინ კუელიარმა მამაკაცს მადლობა გადაუხადა თანამშრომლობისთვის და მოქალაქეებს მოუწოდა, მისთვის მიებაძათ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საზოგადოება

თათია შარანგიას შვილი დაწყევლეს

პიანისტისა და გადაცემა „სთორის“ წამყვანის თათია შარანგიას შვილი ედუარდ შევარდნაძე დაწყევლეს. მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ ის გახდა, რომ 10 წლის ბიჭი საქართველოს მეორე პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მოსახელეა.

თათია შარანგია თავისი 3 შვილით მაია ასათიანის „პროფილს“ სტუმრობდა, სადაც 10 წლის ედუმ თავისი სახელისა და გვარის პასუხისმგებლობაზე ისაუბრა:

– გადავავლე 300 კომენტარს თვალი და არ მჯერა ამხელა ბოროტების, შურის, ღვარძლის.

10 წლის ბავშვს პოლიტიკაზე ედავებიან კომენტარებში, წყევლიან და წერენ, რომ არაფერი შეერგება, რადგან ედუარდ შევარდნაძეა, ოღონდ ედუა და 10 წლის არის.

არის მეორე კატეგორია, ვისშიც შინაგანად მშობელი ცხოვრობს და, რა დამოკიდებულებაც არ უნდა ჰქონდეს ჩემი შვილების დიდი ბაბუის მიმართ, ხვდებიან რომ ბავშვია, საყვარელი ბავშვი, როგორც ყველას შვილი და ამ უზნეობას აპროტესტებენ – მადლობა მათ.

ვისთვის კარგია ბატონი ედუარდი, ვისთვის – ცუდი. ვისაც ობიექტური ხედვა აქვს მისი პოლიტიკური კარიერის მიმართ, ვისაც სუბიექტური, ვის წინაპარსაც მეოთხედი არ გაუკეთებია არც სამშობლოსთვის და არც ოჯახისთვის და ისე მარტივად განიკითხავს მსოფლიო პიროვნებას, ყველას სრული მორალური უფლება აქვს, პატივს სცემდეს თუ არა საქართველოს მეორე პრეზიდენტს.

ყველაფერს ეშველება, მაგრამ იმ კატასტროფას, რასაც ბავშვის მიმართ განუკითხაობა ჰქვია, იმ საშინელი კომენტარების ავტორების ბინძურ სულს, ვინც ბავშვს აქ წყევლის და ლანძღავს, მათ არაფერი ეშველებათ. გულით მეცოდებიან და გულით მინდა, მიეტევოთ ჩემი 10 წლის შვილის აცრემლებული თვალები, რომელიც ამ კომენტარებს კითხულობს. ყველას შვილს ნათელი მომავალი და ბედნიერება!

ალბათ მშობლები უნდა მივხვდეთ, რომ შვილები მოვარიდოთ სიბინძურეს, ბოროტებას და იმ ღვარძლს, რაც, სამწუხაროდ, ჩვენ გარშემოა.. ალბათ გარშემო არსებული პრობლემების გამოა, თუმცა მაინც მიჭირს დაჯერება ჩემი ქართველების ასე გაბოროტების.

საჯაროდ ვდებ პირობას, ჩემს შვილებს აღარ გამოვაჩენ არანაირ გადაცემაში, არანაირი მედიასაშუალებით. გახდებიან 18 წლის და თავად მიიღებენ გადაწყვეტილებას.

მადლობა ყველა კეთილისმსურველს. მადლობა ჩემს მეგობრებს თუ უცხო ადამიანებს. ვინც საშინელებები წერა, მათაც ვუსურვებ შვილების ჯანმრთელობას. ნუ უშვებთ ბოროტ ენერგეტიკას, ბუმერანგის პრინციპით იცის მობრუნება. მიყვარხართ და კიდევ ერთხელ დიდი მადლობა კეთილ ადამიანებს.

ჩემს მეგობარ ჟურნალისტებს, კოლეგებს ვთხოვ, აღარ მოახდინონ ამ თემის პოპულარიზაცია და შეწყვიტონ ამ თემაზე წერა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ვმკურნალობ კარგი შედეგით სქესობრივ სისუსტესა და უძლურებასაც. მკურნალობაში, თანამედროვე საშუალებების გარდა, ვიყენებ ქარხნულ „ერექტორებს“, რომელიც აწესრიგებს სექსუალურ შეუთავსებლობებს და უტყუარია სარგებლობის დროს. მისი ფასი სიმბოლურია და ღირს 50 ლარი. ტელ: 593-60-60-44 იკითხეთ ექიმი მერაბი.

სამართალი

ოზურგეთში დააკავეს ი.ო.

ამოიღეს ცეცხლსასროლი იარაღი

შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ოზურგეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1996 წელს დაბადებული ი.ო. ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით ოზურგეთში დააკავეს.

დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა, ბრალდებულის მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანის და მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღეს ცეცხლსასროლი პისტოლეტი, მჭიდი და ერთლულიანი გადაჭრილი თოფი, რომლებზეც დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზები.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ფაქტზე მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით.

კალეიდოსკოპი

აფრიკულმა კაციჭამია ნიანგმა ბინა ესპანეთში დაიდო და ადგილობრივები შეაშინა



ესპანეთის ქალაქ ვალიადოლიდის მახლობლად აგრესიული ნილოსის ნიანგი შენიშნეს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რეპტილიამ ბინა მდინარე დუეროში დაიდო და ადგილობრივები შეაშინა.

გასულ კვირას პოლიციამ მთელი რიგი საჩივრები მიიღო წყალსატევთან ნიანგის გამოჩენის თაობაზე. თვითმხილველთა აღწერით, მდინარე დუეროში ბინა ნილოსის ნიანგმა დაიდო. ეს რეპტილია აფრიკის მკვიდრია და სიგრძეში ხუთ მეტრამდე იზრდება. ისინი უკიდურესად აგრესიულები არიან და ისეთ მსხვილ და ძლიერ ცხოველებსაც კი უსწორდებიან, როგორებიც არიან შავი მარტორქა, ბეჰემოთი, ჟირაფი, აფრიკული კამეჩი და ლომი.

ესპანეთის პოლიცია აღნიშნავს, რომ რეპტილია, რომელზეც ნადირობაა დაწყებული, სიგრძეში მეტრ-ნახევარს აღემატება და დაახლოებით 250 კილოგრამს იწონის. ხელისუფლება ვარაუდობს, რომ ნიანგი ეგზოტიკური ცხოველის სახით ჰყავდათ, თუმცა შემდეგ მისი თავიდან მოშორება გადაწყვიტეს. სხვა ვერსიით კი ვოლიერს თავი მან თავად დააღწია.

ესპანეთის სამოქალაქო გვარდიის ცხოველთა დაცვის სამსახურის თანამშრომლები რეპტილიას მდინარეში ქალაქებს სიმანკასა და ტორდესილიასს შორის ეძებენ. სამძებრო ოპერაციაში, სხვადასხვა საშუალებასთან ერთად, უპილოტო საფრენ აპარატებსაც იყენებენ. აუცილებლობის შემთხვევაში საძიებო სამუშაოებში პროფესიონალი მყვინთავების ჩართვაც არის დაგეგმილი.

ადგილობრივი მედიის ცნობით, უკვე ნაპოვნია ნიანგის ორი ბუდე, ასევე – თევზების ნარჩენები, რომლებსაც ნიანგისთვის დამახასიათებელი ნაკბილარები ეტყობათ. ქვეყნის პოლიციამ მოქალაქეებს მოუწოდა, თავი შეიკავონ მდინარეში ბანაობისგან. ასევე წყალთან მიახლოება აუკრძალეს მეთევზეებსა და მებაიდარეებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარებათ. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი.

ᲨᲔᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იუოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲝᲗᲐᲠ ᲭᲘᲚᲐᲫᲘᲡ Ქ. №166. ᲛᲔ-10 ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ.

ᲢᲔᲚ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.

სამგლოვიარო განცხადებები

მწუხარებას გამოვთქვამთ ახლო მეგობრის

დემურ ბუკიას

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს.

გურამ კვიკვინია, მურმან გაბისონია, ბადრი ლომაია, გიგლა კვიკვინია

ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ

ემზარ შოთას ძე შენგელიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება

ᲢᲔᲚ.: 599-532-690 – 12-ᲓᲐᲜ 17 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲔ

შედეგები

13 ივნისი

ფეხბურთი

გერმანია. ბუნდესლიგა

ვოლფსბურგი-ფრაიბურგი 2:2
ჰერტა-აინტრახტი 1:4
კოლონი-უნიონი 1:2
პადერბორნი-ვერდერი 1:5
ფორტუნა-დორტმუნდი 0:1
ბაიერნი-გლადბახი 2:1

სატურნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	31	23	4	4	92-31	73
2.დორტმუნდი	31	20	6	5	82-35	66
3.ლაიფციგი	31	17	11	3	77-32	62
4.გლადბახი	31	17	5	9	58-38	56
5.ლევერკუზენი	30	17	5	8	56-40	56
6.ვოლფსბურგი	31	12	10	9	44-38	46
7.ჰოფენჰაიმი	31	12	7	12	42-52	43
8.ფრაიბურგი	31	11	9	11	41-43	42
9.აინტრახტი	31	11	5	15	53-56	38
10.ჰერტა	31	10	8	13	44-55	38
11.შალკე	30	9	11	10	35-47	38
12.კიოლნი	31	10	5	16	48-59	35
13.უნიონი	31	10	5	16	37-54	35
14.აუგსბურგი	30	8	8	14	41-57	32
15.მაინცი	30	9	4	17	39-62	31
16.ფორტუნა	31	6	10	15	33-61	28
17.ვერდერი	31	7	7	17	35-64	28
18.პადერბორნი	31	4	8	19	34-67	20

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ნიურნბერგი-ფიურტი 0:1
ოსნაბრიუკი-ბოხუმი 0:2
ჰაიდენჰაიმი-რეგენსბურგი 4:1
კილი-ვისბადენი 1:2

ესპანეთი. პირველი დივიზიონი

ესპანიოლი-ალავესი 2:0
სელტა-ვილიარეალი 0:1
ლეგანესი-ვალიადოლიდი 1:2
მალიორკა-ბარსელონა 0:4

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	28	19	4	5	67-31	61
2.რეალი	27	16	8	3	49-19	56
3.სევილია	28	14	8	6	41-29	50
4.ხეტაფე	28	13	7	8	38-27	46
5.სოსიედადი	27	14	4	9	45-33	46
6.ატლეტიკო	27	11	12	4	31-21	45
7.ვალენსია	28	11	10	7	39-40	43
8.ვილიარეალი	28	12	5	11	45-38	41
9.გრანადა	28	12	5	11	35-33	41
10.ბილბაო	27	9	10	8	29-23	37
11.ოსასუნა	27	8	10	9	34-38	34
12.ლევანტე	28	10	4	14	33-41	34
13.ბეტისი	28	8	9	11	38-45	33
14.ალავესი	28	8	8	12	29-39	32
15.ვალიადოლიდი	28	7	11	10	25-34	32
16.ეიბარი	27	7	6	14	27-41	27
17.სელტა	28	5	11	12	22-35	26
18.მალიორკა	28	7	4	17	28-48	25
19.ლეგანესი	28	5	8	15	22-41	23
20.ესპანიოლი	28	5	8	15	25-46	23

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

რასინგი-ლუგო 1:2
ლას პალმასი-ხირონა 0:0
სარაგოსა-ალკორკონი 1:3

იტალია. თასი

ნაპოლი-ინტერი 1:1

პორტუგალია. პირველი დივიზიონი

ბრაგა-ბოავიშტა 0:1

ავსტრია. ბუნდესლიგა

ადმირა-ტიროლი 0:3
მატერსბურგი-აუსტრია 1:4
ალტახი-სტ.პოლენი 2:0

საბერძნეთი. სუპერლიგა

პანათინაიკოსი-პაოკი 0:0

თურქეთი. სუპერლიგა

ბაშაქშეჰირი-ალანია 2:0
ბეშიქთაში-ანთალია 1:2
მალათია-ქაშიმფაშა 1:2

უკრაინა. პირველლიგა

ზორია-დინამო 1:3

დანია. სუპერლიგა

ჰობრო-ჰორსენსი 1:1

კოუტინიო ქალაქელი ხდება



გავრცელებული ინფორმაციით, ბარსელონის ნახევარმცველი ფილიპე კოუტინიო, რომელიც იჯარით მიუნხენის ბაიერნში თამაშობს, კლუბს შეიცვლის. საქმე ის არის, რომ მიუნხენური კლუბი ბრაზილიელის სატრანსფერო უფლებების გამოსყიდვას არ გეგმავს. კოუტინიო არც თავად ბარსელონას სურს და, შესაძლოა, ფეხბურთელი ზაფხულში ინგლისში დაბრუნდეს.

ნისლიან ალბიონზე 28 წლის ბრაზილიელს ლივერპულში აქვთ ნათამაშები, სადაც გუნდის ლიდერი იყო. ამჯერად მას ასევე კარგად ნაცნობი პეპ გვარდიოლა ეპატიჟება, მაგრამ უკვე – ლივერპულის მეტოქე მანჩესტერ სიტიში.

თუმცა ბრაზილიელის შეძენით მხოლოდ „ქალაქელები“ არ არიან დაინტერესებული – კოუტინიოს გადაბირების სურვილი ლონდონის არსენალსა და ნიუკასლსაც აქვთ.

ბარსელონა 28 წლის შემტევის გაყიდვაზეა კონცენტრირებული. არადა, კლუბთან კონტრაქტი 2023 წლამდე აქვთ გაფორმებული.

რაც შეეხება კოუტინიოს გერმანულ კარიერას: მიუნხენურ კლუბში ბრაზილიელმა ჯამში 32 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, 9 გოლისა და 8 შედეგიანი პასის ავტორი გახდა.

კოუტინიო სატრანსფერო ბაზარზე 56 მილიონ ევროდ არის შეფასებული.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა



ქმარი შეეცადა, ცოლისთვის პატიმრობა აეცილებინა და მასთან ერთად გისოსებს მიღმა აღმოჩნდა

ამერიკის დასავლეთ ვირჯინიის შტატის მკვიდრი შეეცადა, ცოლი ციხისგან ეხსნა და მისი დაღუპვა გაითამაშა, რის შემდეგაც თავადაც საპატიმროში ამოყო თავი.

31 მაისს 48 წლის როდნი უილერმა პოლიციას აცნობა, რომ მისი 43 წლის მეუღლე ჟულია გრანდვიუ ეროვნულ პარკში ოჯახური სეირნობის დროს კლდიდან გადავარდა. ხელისუფლებამ სამძებრო-სამაშველო ოპერაცია ჩაატარა. სანამ სპეციალისტები გარემოს სიმაღლიდან ათვალიერებდნენ, მყვინთავები ქალს მდინარეში ეძებდნენ. ძებნაში ჩართეს პროფესიონალი მაძებარი ძაღლები.

2 ივნისს პოლიციელები უილერების სახლში მივიდნენ, რათა წამოეღოთ ნივთები, რომლებიც ძებნის გასაგრძელებლად იყო აუცილებელი. მათ სახლი დაათვალიერეს და ერთ-ერთ კარადაში დამალული ჟულია აღმოაჩინეს. წყვილი მეორე დღეს დააპატიმრეს და საქმის გამოძიება დაიწყო.

ხელისუფლება დარწმუნებულია, რომ ცოლ-ქმარმა ჯულიას დაღუპვა იმისთვის გაითამაშა, რომ მისთვის პატიმრობა თავიდან აეცილებინათ. მიმდინარე წლის თებერვალში ქალს თაღლითობა დასდეს ბრალად. საქმის ფინალური მოსმენა და განაჩენის გამოტანა 17 ივნისისთვის იყო მოსალოდნელი. ბრალდებულს ათ წლამდე პატიმრობა და 250 ათასი დოლარის ჯარიმა ემუქრებოდა.

გამოძიების დროს გაირკვა, რომ როდნიმ 17 წლის შვილის დახმარებით კლდიდან ჯულიას ნივთები გადაყარა, პოლიციაში კი განაცხადა, რომ მისი ცოლი კლდიდან იმ დროს გადავარდა, როდესაც დაკარგულ საყურეს ეძებდა. შედეგად როდნიმ თავისი ქმედებით მხოლოდ დაამძიმა ჯულიასა და საკუთარი მდგომარეობა. ახლა უკვე ცოლ-ქმარს, სხვა ბრალდებების გარდა, თაღლითობა და სასამართლო პროცესის ჩაშლის მცდელობა ედებათ ბრალად.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ᲯᲭᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ბ



შვეულად: 1. ძველად სატუსაღო, შემდგომ იმპრესიონისტთა მუზეუმი პარიზში; 2. ბუნებაში ყველაზე მეტად გავრცელებული ნაერთი; 3. ფიჭიანი თაფლი; 4. ვულკანი სიცილიაში; 5. ტრაგედია „ოტელოს“ პერსონაჟი; 6. ჰოლანდიური ლუდი; 9. სამთო ინჟინერი; 10. პოპულარული კაფე ძველ თბილისში, ხელოვანთა თავშეყრის ადგილი; 11. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 14. რიტმულ მოძრაობათა ხელოვნება; 16. სატანვარჯიშო იარაღი; 18. ქართული ტელეკომპანია; 20. მოხალისეთა ჯარი; 23. ფრანგი მეზღაპრე; 24. კლიმატური კურორტი ხონის რაიონში; 25. ლირიკული ხასიათის ზანგური სასიმღერო-საცეკვაო მელოდია; 26. თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ქურა.

თარაზულად: 7. ტკბილეულის დამზადების ოსტატი; 8. უკიდურესი გატაცება რაიმეთი; 12. კუთხე საქართველოში; 13. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი საბერძნეთის ნავსადგური; 15. ფინური ელექტროტექნიკური კომპანია; 17. კათოლიკური ეკლესიის მეთვალყურე, მცველი; 19. ისტორიული ებრაული სახელმწიფო; 21. ლუკ ბესონის მძაფრსიუჟეტიანი ფილმი; 22. კომბინაცია პოკერში; 27. სახელმწიფო ბრალმდებელი სასამართლო პროცესზე; 28. წარმოებაში გამოყენებული დამხმარე მასალა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ტაიკონავტი; 2. რამოსი; 3. კოფეინი; 4. ჩეიზი; 5. „ვალმარტი“; 6. ჟესტი; 7. რივიერა; 9. გრაცია; 13. სტელა; 17. მუზა; 18. ერი.

თარაზულად: 1. ტანკერი; 3. კაკაჩი; 8. ლაზერი; 10. კოლხეთი; 11. „ტოკაი“; 12. კიშლაკი; 14. შაპიტო; 15. პრისტლი; 16. ტემზა; 19. მულატი; 20. პინჩერი; 21. ბოტასი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. დაიმი; 2. „სტელა“; 3. ანორაკი; 4. კობე; 5. წეკო; 6. სტაიერი; 9. საკანდელიძე; 10. აშპაშხანა; 11. შუშაბანდი; 14. სოპკა; 16. აკინი; 18. სეინერი; 20. დურბანი; 23. „აუდი“; 24. სარკე; 25. სტეპი; 26. ბოტი.

თარაზულად: 7. ონტოლოგია; 8. რეზერვატი; 12. მარში; 13. მურეი; 15. „აპაჩი“; 17. პარადოქსი; 19. ტოლჩა; 21. ლიანა; 22. ოდერი; 27. „ტრუბადური“; 28. რესტორანი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

15 ივნისი

- აშშ დოლარი — 3.0401
- ევრო — 3.4387
- დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.8351
- 100 რუსული რუბლი — 4.3561

ამინდის პროგნოზი 15 ივნისისათვის

კრიშტიანო რონალდუ: „იდეალურ ფორმაში არ ვარ“

ტურინის იუვენტუსის პორტუგალიელმა ფორვარდმა კრიშტიანო რონალდუმ მილანთან შეხვედრაზე ისაუბრა და თქვა, რომ იდეალურ ფორმაში ჯერ არ არის. რონალდუმ გუნდის თამაშზეც ისაუბრა:

– ჯერჯერობით მხოლოდ ერთი თამაში ჩავატარეთ და დასკვნების გაკეთება ადრეა, მაგრამ ფაქტია, რომ საუკეთესო ფორმაში არ ვართ. სამწუხაროა, რომ პენალტი ვერ გავიტანე, მაგრამ ფეხბურთში ყველაფერი ხდება. მინდა, კონცენტრირება მომავალ შეხვედრებზე გავაკეთო და ოპტიმალურ ფორმაში ჩავდგე.

მესი: „მოედანზე დაბრუნება ძალიან სასიამოვნოა“

ბარსელონის კაპიტანმა ლიონელ მესიმ მალიორკასთან მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ მისთვის ძალიან სასიამოვნო იყო მოედანზე დაბრუნება, განსაკუთრებით თუ მატჩის შედეგს გავითვალისწინებთ.

ბარსელონამ მალიორკა სტუმრად 4:0 დაამარცხა.

– ძალიან სასიამოვნო იყო მოედანზე დაბრუნება, რადგან ფეხბურთის თამაში ყველას მოგვენატრა. გამარჯვებით დაწყება აუცილებელი იყო, ამიტომ მიხარია, რომ იოლად მოვიგეთ. ესპანეთის ჩემპიონობა ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ამიტომ შეცდომების უფლება არ გვაქვს, – განაცხადა მესიმ.

ჯეიდენ სანჩო, შესაძლოა, ლივერპულის ფეხბურთელი გახდეს

დორტმუნდის ბორუსიის ინგლისელი ფეხბურთელი ჯეიდენ სანჩო, შესაძლოა, სამშობლოში დაბრუნდეს, რადგან მისით რამდენიმე ინგლისური გრანდია დაინტერესებული. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სანჩოს ყიდვით ყველაზე მეტად მანჩესტერ სიტი და ლივერპული არიან დაინტერესებული. სანჩო მხოლოდ 20 წლის არის და ის ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ ახალგაზრდა ფეხბურთელად ითვლება. მისი შეძენა ადრე მადრიდის რეალსაც სურდა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ასტროპროგნოზი

15 ივნისისათვის

ვერძი – პასიური დღეა. თუ სისუსტეს გამოიჩენთ, ეს თქვენს წარმატებაზე უთუოდ აისახება. ზედმეტი მზრუნველობა ახლობლებისადმი საჭირო არ არის. **კურო** – სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. ეს დღე თქვენი შემოქმედებითი აღმავლობის დასაწყისია. სისუსტეს ნუ გამოიჩენთ. **ტყუპები** – აგრესიულობა და ლიდერობისკენ სწრაფვა კოლეგებთან და ახლობლებთან ურთიერთობას გაგიფუჭებთ. ამას შესაძლოა ფინანსური დანაკარგებიც მოჰყვეს. **კირჩხიბი** – ძალზე იღბლიანი დღეა, განსაკუთრებით – საჯარო მოხელეთათვის. ექსპერიმენტებისგან თავი შეიკავეთ. **ლომი** – კომერციული ოპერაციები წარმატებით დაგვირგვინდება. გარისკეთ. არ ინანებთ. ეს ყველაფერი თქვენს შემოქმედებით ზრდასა და ავტორიტეტზე დადებით გავლენას მოახდენს. **ქალწული** – მშობლებისა და ბავშვების მიმართ მეტი ლოიალობა გამოიჩინეთ. ეს დღე ერთგვარი გამოცდა იქნება. **სასწორი** – მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება. ერიდეთ უაზრო გარისკვასა და კომერციულ გარიგებებს. მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია. **ღრიანცალი** – დაისვენეთ და გაერთეთ მშვიდ გარემოში. საღამოს საინტერესო ახალ ამბავს გაიგებთ. **მშვილდოსანი** – დღის პირველი ნახევარი წარმატებული იქნება, თუ იმ საქმეს გააკეთებთ, რომელშიც კარგად ერკვევით. თავს ზედმეტად ნუ გადაიტვირთავთ. **თხის რქა** – ჯანმრთელობის მდგომარეობა სავსებით დამაკმაყოფილებელია, მაგრამ ნერვებს გაუფრთხილდით და ნუ გადაიღლებით. ეცადეთ, იყოთ დამოუკიდებელი და სიტუაცია თქვენ სასარგებლოდ მართოთ. **მერწყული** – ფინანსური ოპერაციები წარმატებით ჩაივლის. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ. **თევზები** – თუ საჭიროდ მიიჩნევთ, ბოდიშიც მოიხადეთ. დათმობა, მიმტევებლობა, ლოიალობა დღის დევიზია.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

●●●

პატრული მანქანას აჩერებს, რომლის საჭესთან ქალი ზის და ეუბნება:

– გვირაბში სინათლე რატომ არ აანთეთ?

– აქაური არ ვარ და მე რა ვიცი, საიდან ინთება თქვენს გვირაბში სინათლე!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– ბიჭო, შენი ცოლი პატიოსანია?

– არ ვიცი, ორი წელია, ჩემი ცოლია და თითქოსდა ჯერ არაფერი დაკარგულა...

●●●

შვილი მამას ეუბნება:

– მამიკო, მოდი, საშინელებებს ვუყუროთ.

კაცი ცოლს მიუბრუნდა და ეუბნება:

– მიდი, ქალო, კოსმეტიკა ჩამოირეცხე...

●●●

ერთი ქალი მეორეს უყვება:

– გუშინ სახლში ჩემთვის მშვიდად ვდგავარ, ჭურჭელს ვრეცხავ, არ ვჩხუბობ, არ ვღრიალებ, ერთი სიტყვით, კარგად ვიქცევი. ამ დროს ქმარი მოვიდა, თითით თავზე დამიკაკუნა და ყურში ჩამჩურჩულა:

– ეი, ჩემო ყვანჩალავ, რა, სული ამოგძვრა?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჩამოწოლილ მეწყერს ძაღლი სასწაულებრივად გადაურჩა

ნორვეგიის ქალაქ ალტაში მეწყერს ძაღლმა თავი სასწაულებრივად დააღწია და ყინულოვან ზღვასაც გადაურჩა.

650 მეტრი სიგანის მეწყერმა რვა სახლი ზღვაში ჩაიტანა. საბედნიეროდ, ამ დროს სახლებში არავინ ყოფილა და არც არავინ დაშავებულა. თუმცა მეწყერმა ზღვაში გაიტაცა ნორვეგიული ეკლჰუნდის ჯიშის ძაღლი, სახელად რაია. ძაღლი ნაპირამდე მიცურდა, სადაც ის სამხედრო შვეულმფრენმა აიყვანა. როდესაც ძაღლი ისევ მიწაზე დასვეს, გაიქცა, თუმცა მოგვიანებით მისი პოვნა მაინც მოხერხდა. საბოლოო ჯამში, რაია პატრონებს დაუბრუნდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მანანა აბრამიშვილი ყველა სამსახურის გახსნას ითხოვს

რუსთაველის თეატრის მსახიობი მანანა აბრამიშვილი ყველა სამსახურის გახსნას ითხოვს:

– ვირუსი არ წავა, არა! სულ იქნება! გახსენით ყველა სამსახური და დააბრუნეთ ცხოვრება! ვიცხოვროთ ვირუსთან ერთად! რომ შემხვდეს და მოვკვდე, კი ბატონო, მოვკვდე! ოღონდ ასეთი ყოფა აღარ შეგვიძლია ხალხს! გახსენით ყველაფერი!

გიგა კვენეტაძე: „გავუსწოროთ თვალი განსაცდელს!“

მომღერალი და კომპოზიტორი გიგა კვენეტაძე დარწმუნებულია, რომ კორონავირუსით გამოწვეული განსაცდელი მთელ მსოფლიოში მალე გაივლის და ყველა სულიერ სიმშვიდეს მოიპოვებს:

– მალე გაივლის მღელვარება და გაქრება შიში, რომელმაც დღეს ჩვენს გულებში დაიმკვიდრა დროებითი ბინა.

მალე დაგვიბრუნდება ყველას სულიერი სიმშვიდე.

გავუსწოროთ თვალი განსაცდელს!

გუდიაშვილზე სომხური ეკლესია ნაგვითაა სავსე

თბილისში, გუდიაშვილის მოედანზე, გუმბათჩანგრეული სომხური ეკლესია დგას, რომელიც ნაგვითაა სავსე.

ინფორმაცია და ფოტოები მხატვარმა და გარემოს დამცველმა ნატა ფერაძემ გაავრცელა:

– იმედია, ბოლო ჰორორია. სომხური ეკლესია გუდიაშვილის მოედანთან. სახურავზე ხეებით, ჩანგრეული გუმბათით და სავსე ნაგვით.

ასე ვუფრთხილდებით ისტორიას.

გენრი დოლიძის ლექსზე „მუმი ტროლმა“ სიმღერა დაწერა

ლეგენდარულმა ჯგუფმა „მუმი ტროლმა“ ქართველი პოეტის გენრი დოლიძის ლექსზე სიმღერა დაწერა და თავის ახალ ალბომში შეიტანა:

– ჩემთვის ძალიან დიდი პატივი და სიხარულია, რომ ლეგენდარული „მუმი ტროლის“ ახალ ალბომში ჩემს ტექსტზე დაწერილი სიმღერაც შევიდა.

ალბომი „ზაფხული ინტერნეტის გარეშე“ – სოციალური კამპანიის სახეს ატარებს და მსოფლიოს 15 ენაზე მოუწოდებს მსმენელებს, ცოტა ხნით გაერიდონ ტექნოლოგიებს, ვირტუალურ სამყაროს და ზაფხული გაატარონ ნამდვილი გრძნობებისა და რეალური ურთიერთობების გარემოცვაში.

სიმღერის ქართული ვარიანტი შეასრულა მექსიკურმა დუეტმა ქართული ფესვებით – კინ ჩი კეტ. სიმღერა ალბომში მეხუთე ტრეკად არის წარმოდგენილი და „გაიქეცი ბუნებაში“ ჰქვია.

მორის ფოცხიშვილის 90 წლის იუბილე ორიგინალურად აღინიშნა

პოეტის მორის ფოცხიშვილის 90 წლის იუბილეს აღნიშვნა მისმა შვილებმა, მხატვარმა თამრიკო ფოცხიშვილმა და რეჟისორმა ბასა ფოცხიშვილმა ორიგინალურად გადაწყვიტეს.

მათ პანდემიის გამო გადაწყვიტეს, გადაეღოთ ვიდეორგოლი, სადაც მამის საუკეთესო ლექსების ნაწილი განთავსდებოდა და ლექსებს საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები წაიკითხავდნენ.

„სსუ!“ – ასე უწოდა პროექტს ბასა ფოცხიშვილმა, რომელშიც ამავე წარწერიანი პირბადეებით „დამშვენებულმა“ დავით დოიაშვილმა, დავით ევგენიძემ, ნიკუშა შენგელაიამ, ნინო სუხიშვილმა, ნატო მეტონიძემ, უცნობმა, გოგი ჭიჭინაძემ, გოგოლა კალანდაძემ, ლიზა ბაგრატიონმა, დათუნა სულიკაშვილმა, ნანკა კალატოზიშვილმა, თაკო ჩხეიძემ, ზაალ ჩიქობავამ და დავით გურგულიამ პოეტის საუკეთესო ლექსები წაიკითხეს.

ვახტანგ კახიძემ კოვიდ 19-ს სიმღერა მიუძღვნა

კომპოზიტორმა და დირიჟორმა ვახტანგ კახიძემ მსოფლიოში გავრცელებულ კოვიდ 19-ს სიმღერა მიუძღვნა და საზოგადოების ორად გახლეჩაც განაპირობა.

ხელოვანის სიმღერა, რომელიც ინტერნეტში განთავსდა, საზოგადოების ნაწილმა გამამხნევებლად მიიჩნია, ნაწილმა კი მას სასაცილო და გოიმური უწოდა.

„ყველაფერი კარგად იქნება“ – ასე ეწოდება სიმღერას, რომლის მელოდიისა და ტექსტის ავტორიც თავად ვახტანგ კახიძეა:

– მთელ მსოფლიოს დაერია სნეულება ახალი, კოვიდ 19-ია მისი სახელი, გამოცხადდა პანდემია, თურმე, დღემდე არ ყოფილა დედამიწა თურმე ამის მნახველი, ჩაიკეტა საქართველო, უცხოეთის ქვეყნებიდან დაინიშნა არაერთი ჩარტერი, ექიმებმაც გვასახელეს, სნეულებას შეებრძოლნენ, დაადგინეს ქვეყნის ყველა კლასტერი, ამიტომაც ყველაფერი კარგად იქნება, – ეს არის ამონარიდი ვახტანგ კახიძის ახალი სიმღერის ტექსტიდან.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოიდი ა



შვეულად: 1. დიდი ბუ; 2. მზის საჩრდილობელი ქოლგა; 3. ელექტრონული მუსიკალური ინსტრუმენტების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 4. მდინარე მტკვრის მარცხენა შენაკადი შიდა ქართლში; 5. კართაგენელი მხედართმთავარი; 8. ირანის საინფორმაციო სააგენტო; 12. ქართული სპორტული გაზეთი; 13. ენის ბგერითი შედგენილობის შემსწავლელი ენათმეცნიერების ნაწილი; 14. ცხარე საწებელა; 16. საკანცელარიო ნივთი; 18. ყვითელი ფერის მკვრივი, გამჭვირვალე ფისოვანი მინერალი; 20. ყველაზე დაბალი რეგისტრის სპილენძის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი.

თარაზულად: 6. აეროპორტი მილანში; 7. ბალერინას ძირითადი კლასიკური პოზა; 8. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში; 9. ქალაქის თვითმმართველობის ორგანო იტალიაში; 10. უბანი თბილისში; 11. ყველაზე მსუბუქი ქიმიური ელემენტი, აირი; 15. ამერიკელი ილუზიონისტი; 17. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 19. თამაში-გამოცანა; 21. ტკბილი, არომატული სპირტიანი სასმელი; 22. გერმანული ყველი; 23. შექსპირის ტრაგედია.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა